ბიბლიოთეკა

სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 20 აპრილი 2004 №87 (2106) | ფასი 50 თეთრი

საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ნაკრებს ვერ მიაგნო







ბადრი კეთილაძის ფოტოები

სურათები ჟირესის ცხოვრებიდან

გაპვირვება ანუ გაგრძელება იქნება

ალენ ჟირესი თბილისში დაბრუნდა და თქვა, რომ საქართველოს ნაკრების სია ხელახლა უნდა შეადგინოს მორიგი ამხანაგურ მატჩისთვის. მოკლედ, ჟირესს ხელში საქართველოს ულეგიონერო, კლუბთა ნაკრები შერჩა, რომელიც საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს გაეჯიბრება 27 აპრილს, ხოლო ჩვენს ახალგაზრდულ ნაკრებს მწვრთნელი ჯერაც არ ჰყავს. ასეთი ხლართები და უთავობა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ნამუსზე უნდა იყოს, თორემ ჟირესი აქ უბრალოა.

დღეს კი ფრანგი სავარდო და სამაისო ქალაქს ესტუმრება, რათა თასის ნახევარფინალურ მატჩს დაესწროს — ქუთაისში მურთაზ ხურცილავას „სპარტაკი" ჩადის და ვინძლო „ტორპედოსაც" გაურთულოს საქმე. თბილისში კი გორელები სტუმრობენ — „დილა" ექვსი წლის წინაც იყო „დინამოსთან" თასის ნახევარფინალში და შინ გამარჯვებული დაბრუნდა...

ქიშები და შიშები საქართველო: ჭადრაკის დაფა ცოცხალი ფიგურებით

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ზოგი მეფობს, ზოგი დედოფლობს

ჭადრაკი საინტერესო თამაშია და სასიამოვნოა, რომ ქართველები მას სხვებზე ცუდად ან ძალიან ცუდად არ ვთამაშობთ. მაგრამ იმაში სასიამოვნოს ვერაფერს ვხედავთ, ჭადრაკის თამაში ჭადრაკით თამაშად რომ იქცა.

საქართველო პატარა ქვეყანაა და აქ ხშირად ერევა პოლიტიკა სპორტში, ახლა კი ისე ჩაერია, რომ სპორტული მხარე მეორეხარისხოვნად იქცა. საქართველოს მთავრობას არ სურს ჩემპიონატის იქ ჩატარება, სადაც შეიძლება ვილაც ავტომატიანმა არ შეგიშვას, ან უცერემონიოდ გაგლახოს, ანაც კიდევ მეტიც — შეგიშვას, მაგრამ აღარ გამოგიშვას. ამ რეგიონის კარჩაკეტილი ბატონები კი მთელ მსოფლიოს ეპატიჟებიან და უცხოელთა უსაფრთხოების გარანტიებზეც ბევრს ლაპარაკობენ, ოღონდ ჩავატაროთ და ყველაფერზე პასუხს ვაგებთო. მალე ფიდეც შეგვეკითხება, ჰა, რას შვრებით, როგორ მორიგდითო...

გზაჯვარედინზე გასული ქართული ჭადრაკი კი ლამის ორად გაიხლიჩოს. აქა-იქ ტურნირის თბილისში გადმოტანაზეც დაირხა ხმა.



ღმერთო, ჰფარვიდე დიეგოს!

მეორე დღეა, არგენტინა მარადონას სიცოცხლისთვის ლოცულობს

როგორ არის ფრანგულად თავმოუზმელობა? ქირესი ახალ სიაზე და ბოსკამპზე ფიქრობს

საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ალენ ჟირესი გუშინ თბილისში ჩამოვიდა, დღეს კი ქუთაისში, „ტორპედო" — „სპარტაკის" თასის ნახევარფინალზე დასასწრებად მიემგზავრება.

ჟირესს ბოლო დროს გეგმები აერია: 30-კაციანი შემადგენლობის ნაცვლად, რომელიც 28 აპრილის ამხანაგური მატჩისთვის გამოაცხადა, ახალი სია უნდა ჩამოწეროს და სასურველი ფეხბურთელები 27 აპრილს საქართველოს უმწვრთნელო ახალგაზრდულ ნაკრებს გააჯიბროს, რომელსაც ამ თამაშისთვის გოჩა ტყებუჩავა შეარჩევს და უთავკაცებს

— სამწუხაროდ, დავაგვიანეთ, ყველა ნაკრებს ამხანაგური მატჩების კალენდარი შედგენილი აქვს და 28 აპრილს ჩვენთან სათამაშოდ არავის სცალია — გვითხრა ალენ ჟირესმა, რომელსაც თბილისში, რა თქმა უნდა, თანაშემწე გია გურულიც ჩამოჰყვა — გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებთან თამაშის შემდეგ მოლაპარაკება გვქონდა რამდენიმე ფრანგულ, ესპანურ და გერმანულ კლუბთან, მაგრამ მათ მატჩის გამართვა 27 აპრილს სურდათ, ჩვენთვის კი ეს თარიღი მიუღებელი იყო — ლეგიონერების შეკრებას 26 აპრილს თუ მოვახერხებდით, უფრო ადრე კლუბი ფეხბურთელს არ გაათავისუფლებდა. ამიტომაც კლუბთან თამაში ვიუარეთ და გადავწყვიტეთ, 27-ში საქართველოს კლუბებისა და ახალგაზრდული ნაკრებები ვათამაშოთ.

— ესე იგი, უკვე გამოცხადებული ოცდაათკაციანი სია შესაცვლელია...

— დიახ, 27 აპრილს ულეგიონერებოდ ვითამაშებთ. ნაკრებისთვის მეტოქე რომ გამოჩენილიყო, მაშინ სხვა საქმე იქნებოდა და, რა თქმა უნდა, ლეგიონერებსაც მოვიწვევდით. ახლა კი, რომც მოვიწადინოთ, კლუბი ფეხბურთელს მაინც არ გამოუშვებს, რადგანაც ნაკრებს საერთაშორისო ოფიციალური მატჩი არ აქვს.

— თადარიგი ახლა მაინც თუ დაიჭირეთ? მაისში ითამაშებს ნაკრები?

— რამდენიმე ნაკრებს უკვე შევთავაზეთ თამაში და ახლა პასუხს ველით. ვმუშაობთ, ეროვნული გუნდისთვის ამხანაგური მატჩები აუცილებელია. აგვისტოში, იცით, მოლდოვასთან თამაშია უკვე დაგეგმილი, იქამდე კი მაისში ვითამაშებთ. ვიმედოვნებ, მეტოქე ჩვენთვის სასურველი დონის იქნება. საქართველოს ჩემპიონატი 22 მაისს მთავრდება და თვის ბოლომდე ფეხბურთელები ფორმას ალბათ შეინარჩუნებენ.

— გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებთან მატჩის მერე ჩვენი ფეხბურთელები ახალი მწვრთნელით კმაყოფილნი დარჩნენ, ჟირესთან მუშაობა სასიამოვნო იყოო. თქვენ თუ მიიღეთ ქართველი ფეხბურთელებისგან ის, რასაც ელოდით?

— პირველ ყოვლისა ის მესიამოვნა, რომ გერმანიაში მყოფი უკლებლივ ყველა ფეხბურთელი მონდომებული იყო და საქმეს პროფესიულად მიუდგა. ეს ასეც უნდა იყოს, თუმცა, ხომ იცით, პირველი შეხვედრა, პირველი შთაბეჭდილება მაინც სხვაა. ბიჭების კმაყოფილი ვარ. პირველივე ვარჯიშის შემდეგ დავრწმუნდი, რომ მათთვის ჩემი სიტყვები გასაგებია, ესმით, რას ვითხოვ და რა გააკეთონ. ნელ-ნელა ფეხბურთელებთან ურთიერთობა უფრო თბილი და უფრო საქმიანი გახდება. მთავარი კი საქართველოა, მეც და ნაკრებსაც ის გაგვიხარდება, თუ ჩვენი კარგი თამაშით საქართველო გაიხარებს.

— საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელად ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპის დანიშვნას აპირებენ, თუმც იქამდე ფედერაციის პრეზიდენტი თქვენ უნდა დაგეკითხოთ. იცნობთ ბოსკამპს, მისი დანიშვნის საწინააღმდეგო ხომ არაფერი გექნებათ?

— ბოსკამპს ფეხბურთელობის დროს ვიცნობდი, თუმც მას შემდეგ იმდენი ხანი გავიდა... მის სამწვრთნელო კარიერაზე არაფერი მსმენია და ახლა ვერც იმას გეტყვით, რას ვეტყვი ჟორდანიას, როცა ბოსკამპზე მკითხავს.

— ხვალ ქუთაისში „ტორპედო" — „სპარტაკზე" დასასწრებად მიდიხართ. ითქვა, რომ თბილისელთა მეკარის აკაკი დევაძის თამაში გაინტერესებთ.

— დიახ, რა თქმა უნდა, მაინტერესებს დევაძე, მისი თამაში ერთხელ უკვე ვნახე და კმაყოფილი დავრჩი. თუმცა, „ტორპედოს" თამაშიც მაინტერესებს, ამ გუნდის ფეხბურთელებიც უნდა ვნახო. თანაც ჩემს თანაშემწე ოთარ გაბელიას მოვინახულებ.

საქართველოს კლუბების ნაკრების შემადგენლობის გამოცხადებას ალენ ჟირესი ხვალ აპირებს. ჯერჯერობით უცნობია, ვინ დაიმსახურებს მწვრთნელის ყურადღებას, თუმცა, როგორც თავად ჟირესი ამბობს, ასეთი მატჩები აპრილის გარდა კიდევ გაიმართება და საქართველოს ჩემპიონატში თავგამოჩენილი ფეხბურთელი მის მზერას არ გამოეპარება.

ქობა ინასარიძე

დამემქრდნენ და წინ წავედი

ჩემთვის სამაგალითოა დეპორტივო-მილანი

რუსეთში მალხაზ ასათიანზე უკვე ხმამაღლა ლაპარაკობენ. ქვეყნის ჩემპიონ ცსკა-თან მატჩში ის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული იყო. ჩვენებურმა თანაგუნდელ სერგეი ოვჩინიკოვისა და დმიტრი ლოსკოვის შემდეგ საუკეთესო შეფასება მიიღო და მწვრთნელ იური სიომინის თქმით, გუნდში საჭირო კაცის სახელი დაიგდო. არადა, ასათიანმა ოდენ მეორედ ითამაშა ტრავმის შემდეგ. გეხსომებათ, იგი პრემიერლიგის პირველივე ტურში მძიმედ დაშავდა

მალხაზ ასათიანი ჩემპიონთა ლიგიდან და დაცვიდან რუსეთს და საყრდენობას უშინაურდება

— ტრავმის მოშუშება საკმაოდ გაგიჯანჯლდა და ამის გათვალისწინებით, ძნელად სავარაუდო იყო, ფორმას ასე მალე თუ აღიდგენდი...

— ეტყობა, დასვენება მომიხდა. იოლად შევეჩვიე დატვირთვებს და კვლავ ავთამაშდი. ახლა უფრო და უფრო უნდა მოვუმატო. იმედია, ჯანმრთელობაც ხელს შემიწყობს.

— ცსკა-თან მატჩზე რას იტყვი?

— მგონი, მოგება ალალად დავიმსახურეთ. მთელმა გუნდმა კარგად ითამაშა და გულშემატკივრებმაც ძალიან გაიხარეს. თან ცსკა ჩვენი უმთავრესი კონკურენტია და ამან დამატებითი სტიმული მოგვცა. ნამატჩევს ყველა კმაყოფილი იყო.

— საყრდენ ნახევარმცველობას როგორ შეეგუე?

საყრდენობა ჩემთვის იმითაც იყო საინტერესო, რომ შეტევაში წასვლის მეტი შესაძლებლობა მქონდა. მცველობისას ამას თითქმის ვერ ვახერხებდი.

— და სიომინს როგორ მოეწონე ახალ ამპლუაში?

— ვფიქრობ, ცუდად არ მითამაშია. სიომინს საერთოდ არ ახასიათებს რომელიმე ფეხბურთელის გამორჩევა. მატჩის შემდეგ გასახდელში რომ შემოვიდა, მთელ გუნდს გადაგვიხადა მადლობა.

— „ლოკომოტივს" შარშანდელთან შედარებით მაინც უჭირს თამაში და ბევრი ამას ჩემპიონთა ლიგაში გადაღლას აბრალებს...

— ალბათ, ერთ-ერთი მიზეზი ესეც არის, მაგრამ არა მგონია, რამე საგანგაშო ხდებოდეს. თანდათან მოვუმატებთ.

— კი მაგრამ, თასზე „შინიკთან" 0:3 რაღა იყო?

— ერთ თამაშს ნებისმიერი გუნდი აფუჭებს. თან „შინიკთან" სხვა პრობლემებიც გვქონდა. რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი გვაკლდა. მსაჯობაც არ იყო ნორმალური — პენალტი ტყუილად დაგვინიშნეს და მეორე გოლი თამაშგარედან გაგვიტანეს. ამის გათვალისწინებით ანგარიში არ უნდა გაგვიკვირდეს.

— მომდევნო ეტაპზე გასვლის იმედი კიდევ გაქვს?

— ფეხბურთში ყველაფერი ხდება.

— თუნდაც „დეპორტივო" — „მილანი"...

— ჰო და მსგავსი მაგალითები კიდევ ბევრია.

— ნაკრების გაფართოებულ სიაში ხარ. თვის ბოლოს ალენ ჟირესი ამხანაგური მატჩის გამართვას აპირებს და ჩამოხვალ?

— მოწვევას თუ მივიღებ, რა თქმა უნდა, ჩამოვალ. ნაკრებისთვის თავი არასოდეს ამირიდებია.

— გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებთან ტრავმის გამო არ გითამაშია, მაგრამ შენი თანაკლუბელი მიხეილ აშვეთია ჟირესზე შთაბეჭდილებას გაგიზიარებდა...

— როგორც მიხომ მითხრა, ჟირესი კარგი პიროვნება და ძლიერი მწვრთნელი ყოფილა. თუ ასეა, ამას რა სჯობია. იმედია, მეც მალე გავიცნობ მას.

ბაჩა შალამბერიძე

ამისულაშვილს აკლიმატიზაცია გამოუწერეს

კიევის „დინამოში" გადასული ალეკო ამისულაშვილი ძირითადში უთამაშებლობას უჩივის. ხუთწლიანი კონტრაქტის მქონე ფეხბურთელს, როგორც ჩანს, ალექსეი მიხაილიჩენკოს გუნდში დასამკვიდრებლად ხანგრძლივი სარეზერვო აკლიმატიზაცია მოუწევს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი პასუხი მიიღო მწვრთნელისგან.

— როგორც იქნა, ჩემს უთამაშებლობაზე რაღაც პასუხი მაინც მივიღე და შედარებით დავმშვიდდი. ბევრად უკეთესია, როდესაც შენთვის სანერვიულოს მიზეზს გაიგებ. ახლა უფრო გულით მოვეკიდები ჩემს საქმეს და პირველი გუნდისთვის მიზანდასახულად ვიმუშავებ.

— მიხაილიჩენკოს ელაპარაკე?

— არა, მისი დავალებით გუნდის მეორე მწვრთნელი, ანატოლი დემიანენკო დამელაპარაკა. მითხრა, რომ ჩემს უთამაშებლობაში საგანგაშო არაფერია. ახალ კლუბს, ქვეყანას, ჩემპიონატს შეჩვევა სჭირდება და შენ, ასე ვთქვათ, ახლა ერთგვარ აკლიმატიზაციის პერიოდს გადიხარო. ახლა უკრაინის პირველ ლიგაში ვთამაშობ, მაგრამ დატვირთვით და ტემპით ჩვენს უმაღლესს სჯობია.

— „დინამო 2"-ში როგორ გეპყრობიან, გრძნობ, რომ ფსიქოლოგიურად გამზადებენ პირველი გუნდისთვის?

— „დინამო 2"-ის მწვრთნელი ვიქტორ ონიშჩენკო კარგი პიროვნებაა. მეხმარება და მამხნევებს. მანაც იგივე მითხრა, რაც დემიანენკომ. საკმაოდ ახალგაზრდა ხარ და მომავალიც გაქვსო. აქ ხუთწლიან კონტრაქტს ტყუილად არავისთან აფორმებენ და აქაურობას რომ შეეჩვევი, უპრობლემოდ შეძლებ თამაშსო.

დავით ერაძე

გერმანია

II ბუნდესლიგა. XXIX ტური

არმინია 3:0 ალემანია

იტალია

სერია B. XXXVIII ტური

კალიარი 1:0 ალინოლეფე

სერია C1/B. XXX ტური

სამბენედეტეზე 2:0 ლანჩანო

პორტუგალია

სუპერლიგა. XXX ტური

მარიტიმუ 2:0 ნასიონალი

ჩეხეთი

გამბრინუსლიგა. XXVI ტური

სპარტა 3:1 ჟიჟკოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ყიფიანის თასი

ნახევარფინალი. პირველი მატჩები

საქართველოს ეროვნული ფეხბურთის ლიგა

სათასო დღეც მოვიდა. თბილისსა და ქუთაისში თასის ნახევარფინალის პირველი მატჩებია და გუნდებიდან გამოსულ ხმებს თუ ვერწმუნებით, დიდი ომიცაა მოსალოდნელი

წამყვანი საფეხბურთო ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოში ჯერ არ ყოფილა და კარგა ხანს არც იქნება, რომ დაბალი დივიზიონის გუნდი გავიდეს თასის ნახევარფინალში. არადა, სათასო ხიბლი ხომ ესეცაა. აგერ, რამდენიმე დღეში პირველდივიზიონელი „მილუოლი“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ დაუდგება გადამწყვეტ მატჩში... თუმც ის ინგლისია, იქამდე ბევრი გვიკლია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ერთგვარი სათასო ინტრიგა ბოლო ორი წელია, მაინც შეიძინა ჩვენმა ფეხბურთმა. შარშანდლამდე სათასო ნახევარფინალში, ფაქტობრივად, სულ ერთი და ივივე გუნდები გადიოდნენ, შარშან კი პერიფერიულმა „სიონმა“ დაარღვია ეს მოსაწყენი ერთფეროვნება და ფინალში გასვლით უეფას თასის საგზურსაც გამოჰკრა ხელი. წლევანდელი გათამაშების მოულოდნელობა კი გასავარდნთა ზონაში მოტრიალე „სპარტაკის“ ნახევარფინალში გასვლაა. მურთაზ ხურცილავას ახალაგაზრდული გუნდი თვით „ვიტ ჯორჯიას“ გაუსწორდა მეოთხედფინალში

ძაძვსი წლის ღვინო დარჩა?

თბილისი. 20 აპრილი. 16 საათი. ეროვნული

დინამო — დილა

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; მ. ელიკაშვილი, ზ. მენთეშაშვილი; ა. მეშკოვი (ყველა თბილისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

„დინამო“ და „დილა“ თასის ნახევარფინალში ექვსი წლის წინათაც გადაყრიან ერთმანეთს და მაშინ დიდი ინტრიგაც გამოცხვა. პირველ მატჩში გორელებმა 2:1 მოიგეს თბილისში და საპასუხო შეხვედრაში ტრიბუნებზე კი სუფრაც გაშალეს. გორული მატჩისას მასპინძელთა ქომაგები ფიალებით ალავერდს რომ გადადიოდნენ, „დინამოს“ გოლი გოლზე გაჰქონდა და 3:1 მოიგო. გორელებს ის ღვინოღა შერჩათ, ფინალში კი „დინამო“ გავიდა.

წინა ტურის „დინამო“ — „დილას“ შემხედვარე ვინ იფიქრებს, რომ ჩემპიონს საფინალო გზაზე გორელები დიდ წინააღმდეგობას გაუწევენ, თუმცა, დასაკარგი არაფერი გვაქვს, ბოლომდე ვიბრძოლებთო, თქვა „დილას“ ახალგაზრდა თავკაცმა ზურაბ ხორგუაშვილმა. „ჩემპიონატში საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას ველარ შევძლებთ, ამიტომაც მთელი ყურადღება თასისკენ გვაქვს, რაც შეგვიძლია, ყველაფერს ვაჩვენებთ და ეგებ ორი მატჩის ჯამში გამარჯვება ჩვენ დაგვრჩეს“ — ესეც ხორგუაშვილის სიტყვებია.

მიუხედავად გორელთა იმედისა, ამ წყვილიდან ფინალში გასვლის მეტი შანსი „დინამოს“ აქვს. ამას შუშაკიც არ მალავს. „დილას“ დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ჩვენი გუნდი უფრო ძლიერი და გამოცდილია. დიდ ბრძოლას კი ველი, მაგრამ გამარჯვება ჩვენ უნდა დაგვრჩესო, თქვა თბილისელთა ხორვატმა მწვრთნელმა.

გორი. 1998 წლის 26 აპრილი. გორელებს ფიალა ეცლებოდათ, კარი ევსებოდათ

კაცობას გეფიცებით, სუფთები ვართ!

ქუთაისი. 20 აპრილი. 16 საათი. ტორპედო

ტორპედო — სპარტაკი

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); მ. მაისურაძე (თბილისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** შ. ხინჩაგაშვილი

ქვედა ექვსეულის ერთ-ერთი წევრი უთუოდ ითამაშებს ფინალში. „ტორპედო“ თუ „სპარტაკი“? „ტორპედო“, ამბობს ბევრი და ერთ-ერთ არგუმენტად ბოლო ტურში ამ გუნდების შეხვედრაში თბილისელთა გამარჯვება მოაქვთ. იმ თამაშის შემდეგ ითქვა, ხურცილავას გუნდს უმაღლესში დასარჩენი სამი ქულა მისცეს ქუთაისელებმა და შედეგად ფინალში გასვლის გარანტია მიიღესო.

— მე იმიტომ არ დავბრუნებულვარ ფეხბურთში, რომ ასეთ სამარცხვინო გარიგებებში მივიღო მონაწილეობა. „ტორპედოსთან“ ჩემპიონატშიც ნაღდი ბრძოლა გვქონდა და თასზეც ასე იქნება — თქვა ამასთან დაკავშირებთი „სპარტაკის“ მეორესუნთქვაგახსნილმა ვეტერანმა მეკარემ აკაკი დევაძემ, რომელსაც ეროვნულ ნაკრებში დაბრუნება გადაუწყვეტია და ამბობს, თავს გავიგიჟებ და ოთარ გაბელიას დავუმტკიცებ ჩემს შესაძლებლობებსო.

გარიგებაზე მითქმა-მოთქმას ჭორი უწოდა „ტორპედოს“ თავკაცმა ოთარ გაბელიამ, გუშინ რომ შევეხმიანეთ:

— ვინც ამას ამბობს, ჭორიკანაა. „სპარტაკთან“ წავაგეთ ჩემპიონატის ჩვენთვის არაფრისმომცემ მატჩში. წინ თასის თამაშები მქონდა და ამიტომაც ძირითადის სამი ფეხბურთელი დავასვენე. თუკი მოლაპარაკებაზე იყო საქმე, დავაყენებდი მაშინ დავითაშვილს, წავაგებდით 3:4-ს, იმ სამ გოლს სულიკო გაიტანდა და ჩემპიონატის ბომბარდირი გახდებოდა. თუმც იმასაც ვფიქრობ, რომ ასეთი ჭორები ბუნებრივია, სხვა გუნდის მწვრთნელი რომ ვიყო, შეიძლებოდა, მეც ასე მეფიქრა „სპარტაკი“—„ტორპედოს“ მატჩის შემდეგ, მაგრამ კაცობას გეფიცებით, მსგავსი არაფერი ყოფილა. მეტოქეს ჩვენზე მეტი მოტივაცია ჰქონდა და მოგვიგო.

ოთარ გაბელიას დღეს წინა მატჩში დასვენებულ ფეხბურთელთა და „ტორპედოს“ გამარჯვების დიდი იმედი აქვს.

და ერთიც: როგორც შევიტყვეთ, „ტორპედო“—„სპარტაკს“ თბილისში გუშინ ჩამოსული ეროვნული ნაკრების თავკაცი ალენ ჟირესიც დაესწრება.

პაატა ძმანტალიანი

დინამო ჩემპიონ!

ტორპედოს კაპიტანი მართლაც განსაკუთრებულია

შარშანდელი „ლანსი“ — „ტორპედო“. შოთა ბაბუნაშვილი და „ტორპედო“ უეფას თასზე თამაშს წლეულსაც აპირებენ

წლეულს შეიძლება ისე მოხდეს, რომ ქართული საფეხბურთო სეზონი 26 მაისს „დინამო“ – „ტორპედოს“ სათასო დაპირისპირებით დასრულდეს.

დღეს ქუთაისელები „სპარტაკს“ მიიღებენ და, ბუნებრივია, უეფაზე მოსახვედრად ყველაფერს გააკეთებენ. იგივეს ფიქრობს ჩვენი დღევანდელი რესპონდენტი და „ტორპედოს“ კაპიტანი შოთა ბაბუნაშვილი

— რამდენად მზადაა „ტორპედო“, სეზონი სათასო ტრიუმფით მაინც გაილამაზოს?

— თასის ფინალში გასვლით, ფაქტობრივად, უეფას საგზურს გავინაღდებთ, ვინაიდან, ჩემი აზრით, ფინალში გავა „დინამოც“, რომელიც ჩემპიონი გახდება. ამიტომ „ტორპედოში“ ნახევარფინალური დაპირისპირების წინ სრული მობილიზაცია და საბრძოლო განწყობაა. ჩემპიონატიდან გავარდნა ჩვენ არ გვემუქრება და თასი ერთადერთი სერიოზული მოტივაციაა.

— რატომ გჯერა, რომ „დინამო“ ჩემპიონი გახდება?

— მიმაჩნია, რომ დინამოელებს ყველაზე უკეთესი შემსრულებლები ჰყავთ.

— და ფინალში „დინამოს“ მოგებაზე ოცნებობ?

— რატომაც არა?! უბრალოდ, ვთქვი, რომ თასის ფინალში გასვლითაც გავინაღდებთ უეფას თასის საგზურს. ბოლოს და ბოლოს, თასი ხომ დავით ყიფიანის სახელს ატარებს, ადამიანის, რომელმაც „ტორპედოსთვისაც“ ძალიან ბევრი გააკეთა.

— თუმცა ფინალამდე იოლი გასეირნება ალბათ არც „სპარტაკთან“ გექნებათ...

— რასაკვირველია. ამიტომაც თამაშისთვის სერიოზულად ვემზადებით. მეტოქე ძალიან კარგი, მოძრავი, მებრძოლი და ახალგაზრდული გუნდია. თანაც ერთი თამაშისთვის კონცენტრაცია ყველას შეუძლია. ეს ხომ თასის სპეციფიკაა. თუმცა მაინც ვფიქრობ, რომ მცირე უპირატესობა ჩვენ გვაქვს და ფავორიტი „ტორპედოა“.

— „სპარტაკთან“ ჩემპიონატის მატჩში სათასოდ შეინახეთ თავი?

— გაფრთხილების მიღების შემთხვევაში სულიკო დავითაშვილი და სევასტი თოდუა პირველ სათასო მატჩს გამოტოვებდნენ, ამიტომ ისინი მწვრთნელმა დაასვენა. ჩვენც თამაში არ წაგვივიდა, თუმცა თასზე ყველაფერი სულ სხვაგვარად იქნება.

— წლეულს ეროვნულმა ჩემპიონატმა „ტორპედოს“ სუსტი თამაშით ბევრი დაკარგა. როგორ ფიქრობ, ჩავარდნა ლოგიკური იყო?

— თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი გუნდი წამყვანმა ფეხბურთელებმა დატოვეს, სანაცვლოდ კი სრულფასოვანი შეცვლა არ მიგვიღია, შედეგი ლოგიკურია. ჩვენ ხომ მეტწილად ფარმ-კლუბიდან დავიმატეთ ახალგაზრდა და გამოუცდელი ფეხბურთელები. მეორე ეტაპისთვის დავიმატეთ დავითაშვილიც და ალეკო კოშკაძეც. ეს ფეხბურთელები პირველ ეტაპზე რომ გვყოლოდა, ეგებ ახლა ზეექვსეულშიც ვყოფილიყავით.

— იონანიძის წასვლის შემდეგ ლიდერის ტვირთი შენ დაგაწვა. რთულია ეს მისია?

— მე თავს „ტორპედოს“ ლიდერად არ ვთვლი, უბრალოდ, იმას ვთამაშობ, რაც ვიცი. თავის დაზოგვა კი არ მჩვევია.

— პარტნიორებისგან ვის გამოარჩევდი, ვის თვლი „ტორპედოს“ წამყვან მოთამაშეებად?

— ძალიან მოუმატა გიორგი ნერგაძემ. როდესაც დაცვაში მიხეილ მახვილაძე თამაშობს, თავს უფრო მშვიდად ვგრძნობ. საერთოდ კი, ყველა, ვინც „ტორპედოს“ ძირითადის მოთამაშედ ითვლება, საიმედოდ მიმაჩნია.

— რის ხარჯზე უნდა დაიბრუნოს „ტორპედომ“ ჩვენს ჩემპიონატში დაკარგული ამბიცია?

— პირველ რიგში შემადგენლობა უნდა შეინარჩუნოს, შემდეგ კი გაძლიერებაზეც უნდა ვიფიქროთ. კონკურენცია ისეთი უნდა იყოს, როგორიც მაშინ, ზედიზედ სამჯერ ჩემპიონის ტიტული რომ მოვიპოვეთ.

დავით ერაძე

ლევან კობიაშვილი ბერნდ შნაიდერს კი წამოახტა, მაგრამ „ლევერკუზენმა“ „შალკე“ აქეთ დაჯაბნა

უიაშვილო ფრაი მგელმა შეჭამა

ჩემპიონატის ჯვიჯროსული აპლოდისმენტები

მალხაზ ასათიანი — ამ უქმეების ერთ-ერთი საინტერესო ფიგურა რუსეთში. მოსკოვური დერბის ქართველი გმირი რუსებმა ახლაღა აღმოაჩინეს. მალხაზზე ამდენი იქაურ ჟურნალ-გაზეთებში მხოლოდ საქართველო — რუსეთის შარშანდელი მატჩის შემდეგ დაიწერა, როცა ასათიანმა თავით ერთადერთი გოლი გაუტანა ვენიამინ მანდრიკინს და საქართველოს ნაკრებს მოაგებინა. მანდრიკინი შაბათს ცსკა-ს კარში იდგა და მართალია, ჩვენებურმა მისი დამწუხრება ამჯერად ვერ შეძლო, მაინც ერთ-ერთი გამორჩეული იყო „ლოკომოტივ“ — ცსკა-ს ჯახში.

„ასათიანმა ბრწყინვალედ ითამაშა მისთვის უჩვეულო პოზიციაზე. ქართველი ფეხბურთელი საყრდენ ნახევარმცველადაც ძლიერი ყოფილა“ — წერს „სპორტ-ექსპრესი“, რომლის პირველ გვერდზე იური სიომინის ფოტოს ასეთი წარწერა აქვს: „თქვენ გგონიათ, „ლოკომოტივის“ მთავარი მწვრთნელი უძნელეს მატჩში გამარჯვებულ თავის შეგირდებს ესალმება? ასე არ არის. სინამდვილეში, თამაში ჯერ კიდევ მიდის და სიომინი ცენტრალურ მცველებს, ნიჟეგოროდოვს და სენიკოვს სთხოვს, ასათიანს ზონა გაუთავისუფლონ. ბიჭებმა დავალება დაუყოვნებლივ შეასრულეს, შედეგს კი თავადაც ხედავთ — 1:0 „ლოკომოტივის“ სასარგებლოდ“.

ერთი სიტყვით, ასათიანის გარჯა დიდად დაფასდა და ჩვენებურს, ცხადია, ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც არ დაამადლეს ადგილი.

უპრიანი იქნებოდა, თემა რუსეთში მოთამაშე ქართველებით გაგვეგრძელებინა, მაგრამ... ცხრა პრემიერლიგელი ჩვენებურიდან მოედანზე მხოლოდ ასათიანი გავიდა. ერთადერთს, ვისაც გამოვარჩევთ, რკინიგზელივე *რომან ახალკაცი,* ვინც სარეზერვო გუნდში ყოჩობს და არმიელ რეზერვისტებს ორი გოლი გაუტანა, რაც მისთვის ზედიზედ მესამე დუბლია. პატარა რკინიგზელებმა მეტოქე 2:1 დაამარცხეს. ახალკაცი კი ბომბარდირთა დავაში მეორეა და ერთი გოლით ჩამორჩება რუბინელ ზავალინს.

იტალიაში ნატკენ ფეხს ჯერაც იშუშებს კახა კალაძე. „მილანი“ კი სკუდეტოსკენ მიმავალი გზიდან არ უხვევს და ამჯერად „სიენა“ 2:1 დაიბრიყვა. ეს ის „სიენაა“, ორიოდ წლის წინ დავით დიღმელაშვილი და ლევან მელქაძე რომ თამაშობდნენ. დრომ ასე მოიტანა — ახლა „სიენა“ სერია A-შია და ამ გუნდში ისეთი ხალხია, ნიკოლა ვენტოლა, ენრიკო კიეზა და ტორე ანდრე ფლო რომ არიან.

„უნიონში“ ფეხმოკიდებულმა დავით სირაძემ გოლი და სამოლე პასი მოინაგრა. ეგაა, ბერლინელებმა „ნიურნბერგთან“ 3:5 წააგეს და ახლა სასწაული თუ იხსნის მათ რეგიონალიგაში დაქვეითებისგან.

ბუნდესლიგაში ორივე „ქართული“ გუნდი დამარცხდა. *ლევან კობიაშვილის* „შალკემ“ შინ „ლევერკუზენთან“ წაიფორხილა, *ლევან ცქიტიშვილის* „ფრაიბურგი“ კი „მგლებმა“ შეჭამეს. „ვოლფსბურგმა“ შანსი არ დაუტოვა იაშვილნაკლულ ფოლკერ ფინკეს გუნდს. ამ მარცხით „ფრაიბურგი“ ათეულს დაშორდა, თუმც ბუნდესლიგიდან გავარდნა მაინც არ ემუქრება. *ალექსანდრე იაშვილი* კი ანგინამ შეაწუხა და ამიტომ არ უთამაშია.

მიხეილ ყაველაშვილის „აარაუმ“ სენსაციური სამი ქულა მოიპოვა. „აარაუმ“ 3:0 გაანადგურა შვეიცარიული გრანდი „ბაზელი“ და სატურნირო მდგომარეობა გამოისწორა. მიხეილ ყაველაშვილმა პირველი ტაიმი ითამაშა, მერე კი შეცვალეს.

ზურაბ მენთეშაშვილმა კი ლატვიური გოლების ანგარიში გახსნა. „სკონტომ“ სტუმრად ქულაღა აართვა „ვენტსპილსს“. უცნაურია, მაგრამ „სკონტო“ ოდენ მესამე ადგილზეა, რაც ლატვიაში არასოდეს მომხდარა. მართალია, ჩემპიონატი სულ რაღაც ოთხი ტურის დაწყებულია, მაგრამ ამბავი მაინც გამოსარჩევია.

თემურ ქეცბაიას გაწვრთნილმა „ანართოსისმა“ 3:1 მოუგო „ოლიმპიაკოსს“ და ამ გამარჯვებაში წონიანი სიტყვა *კლიმენტი წიტაიშვილმა* თქვა. ერთ დროს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელმა თავადაც გაიტანა და თანაგუნდელსაც გაატანინა. *გიორგი გაბიდაურმა* წიტაიშვილის დარად სრულად ითამაშა, მოთამაშე-მწვრთნელი ქეცბაია კი 76-ე წუთზე შევიდა მოედანზე.

კახა ზალამბერიძე

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	ო	გ	ა
იტალია. სერია A								
კახა კალაძე	მილანი	ს	სიენა 2:1	0	ტრავმირებულია	4	0	11
გერმანია. ბუნდესლიგა								
ლევან კობიაშვილი	შალკე	შ	ლევერკუზენი 2:3	90		25	7	7
ალექსანდრე იაშვილი	ფრაიბურგი	ს	ვოლფსბურგი 0:4	0	განაცხადში არ იყო	23	7	11
ლევან ცქიტიშვილი	ფრაიბურგი	ს	ვოლფსბურგი 0:4	90		24	4	11
გერმანია. მეორე ბუნდესლიგა								
ხვიჩა შუბითიძე	აუე	შ	კოტბუსი 1:0	16	შეცვლაზე ითამაშა	25	6	6
დავით სირაძე	უნიონი	შ	ნიურნბერგი 3:5	63	შეცვლაზეითამაშა, 1 გოლი, საგ.პასი	7	1	17
ავსტრია. მაქსბუნდესლიგა								
დავით მუჯირი	შტურმი	ს	ზალცბურგი 0:0	90		23	1	9
ჰოლანდია. პირველი დივიზიონი								
გოგა გახოკიძე	ტვენტე	ს	დენ ჰააგი 0:1	0	განაცხადში არ იყო	24	2	9
შვეიცარია. სუპერლიგა								
მიხეილ ყაველაშვილი	აარაუ	შ	ბაზელი 3:0	45	შეცვალეს	10	5	8
შოტლანდია. პრემიერლიგა								
შოთა არველაძე	რეინჯერსი	შ	პარტიკი 2:0	0	ტრავმირებულია	16	12	2
ზურაბ ხიზანიშვილი	რეინჯერსი	შ	პარტიკი 2:0	90		18	0	2
რუსეთი. პრემიერლიგა								
მალხაზ ასათიანი	ლოკომოტივი	შ	ცსკა 1:0	90		2	0	4
მიხეილ აშვეთია	ლოკომოტივი	შ	ცსკა 1:0	0	სათადარიგო	5	0	4
რომან ახალკაცი	ლოკომოტივი	შ	ცსკა 1:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	4
ვიტალი დარასელია	ალანია	შ	ტ. მეტალურგი 1:0	0	ტრავმირებულია	4	1	7
ლევან გვაზავა	ალანია	შ	ტ. მეტალურგი 1:0	0	ტრავმირებულია	5	0	7
რატი ალექსიძე	როსტოვი	შ	როტორი 4:1	0	განაცხადში არ იყო	4	0	14
გიორგი ლომაია	სპარტაკი	შ	ამკარი 6:0	0	სათადარიგო	0	0	3
ოთარ ხიზანეიშვილი	დინამო	შ	რუბინი 0:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	11
დავით ნაკანი	ტორპედო	ს	კრილია 5:2	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	1
რუსეთი. პირველი დივიზიონი								
კახა ცხადაძე	ანჟი	შ	ხიმკი 2:0	0	ტრავმირებულია	3	0	5
კახა მჟავანაძე	ანჟი	შ	ხიმკი 2:0	90		5	0	5
ედიკ საჯაია	არსენალი	შ	სკა ენერგია 3:0	90		5	0	11
გიზო ჯელაძე	სოკოლი	შ	ტომი 2:0	11	შეცვლაზე ითამაშა	3	0	2
ზურაბ ფოფხაძე	მ. კუზბასი	ს	მეტალურგი 0:0	9	შეცვლაზე ითამაშა	4	0	19
ლევან ბერიძვილი	მ. კუზბასი	ს	მეტალურგი 0:0	0	ტრავმირებულია	1	0	19
ვასილ გიგიაძე	ურალანი	ს	სპარტაკი 0:1	12	შეცვლაზე ითამაშა	2	0	7
პაატა ჯინჭარაძე	ნეფტეხიმიკი	ს	ბალტიკა 2:2	0	ტრავმირებულია	0	0	21
უკრაინა. უმაღლესი ლიგა								
გოჩა ჯამარაული	მ. დონეცკი	შ	კარპატი 0:0	90		20	1	4
გიორგი დემეტრაძე	მ. დონეცკი	შ	კარპატი 0:0	90		19	12	4
ალექსანდრე ამისულაშვილი	დინამო	შ	ობოლონი 2:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	1
ზურაბ იონანიძე	ტავრია	შ	მ. ზაპოროჟიე 2:0	0	სათადარიგო	15	2	14
გია ჭანტურია	ტავრია	შ	მ. ზაპოროჟიე 2:0	0	სათადარიგო	5	0	14
გიორგი იმედაძე	ტავრია	შ	მ. ზაპოროჟიე 2:0	90		6	1	14
კახა ჩხეტიანი	ტავრია	შ	მ. ზაპოროჟიე 2:0	90		6	0	14
ზვიად ჩხეტიანი	ტავრია	შ	მ. ზაპოროჟიე 2:0	0		0	0	14
გოჩა ტრაპაიძე	ვოლინი	შ	დნიპრო 2:2	0	სათადარიგო	2	0	9
გელა შეყილაძე	არსენალი	შ	შახტარი 0:0	0	ტრავმირებულია	11	0	7
თურქეთი. პირველი ლიგა								
გივი დიდავა	ქოჯაელი	ს	მანისასფორი 1:1	90		22	0	5
პოლონეთი. პირველი ლიგა								
მამია ჯიქია	ამიკა	შ	ნოვი დვორი 2:2	90		19	1	3
ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა								
ამირან მუჯირი	ცსკა	ს	ლოკომოტივი 1:0	0	სათადარიგო	4	0	2
ვლადიმერ კაკაშვილი	ჩერნო მორე	შ	ლიტექსი 1:2	0	ტრავმირებულია	11	1	7
ლატვია. უმაღლესი ლიგა								
ლევან კორღალიძე	სკონტო	ს	ვენტსპილსი 1:1	90		4	1	3
ზურაბ მენთეშაშვილი	სკონტო	ს	ვენტსპილსი 1:1.	90	1 გოლი	4	1	3
გიორგი ყიფიანი	სკონტო	ს	ვენტსპილსი 1:1	0	სათადარიგო	2	0	3
თამაზ პერტია	დინაბურგი	შ	მეტალურგსი 1:4	45	შეცვალეს	4	0	6
მოლდოვა. სუპერლიგა								
ვაჟა თარხნიშვილი	შერიფი	შ	აგრო 3:0	90		20	3	2
მურთაზ ბურნაძე	შერიფი	შ	აგრო 3:0	64	საგოლე პასი, შეცვალეს	6	0	2
კვიპროსი. პირველი დივიზიონი								
თემურ ქეცბაია	ანართოსისი	შ	ოლიმპიაკოსი 3:1	14	შეცვლაზე ითამაშა	20	8	5
გიორგი გაბიდაური	ანართოსისი	შ	ოლიმპიაკოსი 3:1	90		9	2	5
კლიმენტი წიტაიშვილი	ანართოსისი	შ	ოლიმპიაკოსი 3:1	90	1 გოლი, საგ.პასი, გააფრთხილეს	8	6	5
ლევან ქებაძე	პარალიმნი	შ	პაფოსი 0:1	90		18	14	8
ლევან მაღრაძე	აელ	ს	ონისილოსი 2:2	90		18	3	4
გიორგი ქორიძე	ონისილოსი	შ	აელ 2:2	90		19	9	13
ყაზახეთი. სუპერლიგა								
კახა კვეტენაძე	ორდაბასი	ს	კაისარი 0:2	67	შეცვალეს	3	0	5
ზურაბ არჩვაძე	ეკიბასტუზეცი	შ	ჟეტისუ 1:2	0	განაცხადში არ იყო	3	0	3
ლევან ბაჯელიძე	ატირაუ	ს	ბოგატირი 0:0	55	შეცვალეს	4	0	7

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში



მალხაზ ასათიანს ცსკა-სთან მცველობაც უწევდა

ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. ნახევარფინალი. პირველი მატჩი. დღეს

მონაკო — ჩელსი

მონტე კარლო. „ლუი II“

არისტოკრატიული ფასები

აბრამოვიჩი სამთავროს ყიდულობს

„ლუი II“-ზე რიგი დადგა

„მონაკო“ მასპინძლობს გუნდს, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაში სტუმრად გამართული ყველა მატჩი მოიგო და ამ შეხვედრებში მხოლოდ ერთი გოლი გაუშვა.

„ასეთი შედეგი „ჩელსის“ ძალაზე თავისთავად მეტყველებს — თქვა დიდიე დეშანმა — მათ „რეალივით“ ვარსკვლავები არ ჰყავთ, მაგრამ შემადგენლობაში 25-მდე სხვადასხვა ქვეყნის ნაკრების ფეხბურთელი მოუგროვდებათ“.

დეშანი თავის ყოფილ კლუბს ხვდება, რომლის მისურითაც 2000 წელს ინგლისის ლიგის თასი მოუგია.

„მონაკოს“ მწვრთნელი და „ჩელსის“ მცველი მარსელ დესაი 1993-ში „მარსელში“ თამაშობდნენ. მაშინ ჩემპიონთა თასის ფინალში მათ „მილანი“ დაამარცხეს. მოგვიანებით, „ნანტშიც“ ერთად იყვნენ, ხოლო საფრანგეთის დროშის ქვეშ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები გახდნენ.

„ჩელსი“ თუ გასვლით მატჩებში ბრწყინავს, „მონაკო“ შინ უფრო ძლიერია. ამის დასამტკიცებლად მხოლოდ ორი თამაშის გახსენებაც საკმარისია. „დეპორტივო“ 8:3 შეარცხვინეს, „რეალი“ კი ზღაპრულ შეხვედრაში დააჩოქეს.

მასპინძლებს დღეს ტრავმის გამო მხოლოდ ერთი ფეხბურთელი, სებასტიან სკილაჩი დააკლდებათ. სამაგიეროდ და დეშანის სასიხარულოდ, ექვსთვიანი მკურნალობის შემდეგ საბოლოოდ გამოჯანმრთელდა შარშანდელი ჩემპიონატის მთავარმეგოლე შაბანი ნონდა.

„მონაკომ“ გასულ უქმეებზე დაისვენა, რაც შესაძლოა, მეტოქესთან ოდნავ უპირატესობას ანიჭებდეს.

კლაუდიო რანიერის გუნდისთვის „ჰაიბერიზე“ „არსენალთან“ გამარჯვება იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მას აქეთ „არისტოკრატებმა“ სამი პრემიერლიგურ მატჩში ერთიც ვერ მოიგეს.

იტალიელი მწვრთნელი „მონაკოს“ ფეხბურთელებს ასე ახასიათებს: „მათ ბრწყინვალე გუნდი ჰყავთ უმაღლესი კლასის ფორვარდებით. მარცხენაფლანგელი ჟერომ როტენი ფანტასტიკურია, ხოლო ლუდოვიკ ჟიული ჯადოქარია და იგი ჯანფრანკო ძოლას მაგონებს“.

„ჩელსის“ თავკაცს სამი ტრავმირებული ფეხბურთელი დააკლდება. დემიენ დაფი, უილიამ გალასი და სელესტინ ბაბაიარო გუნდს ვერ დაეხმარებიან, კლოდ მაკელელეს თამაში კი საეჭვოა. რანიერისთვის მაკელელე მეტად საჭირო კაცია და მწვრთნელი იმედოვნებს, რომ ფრანგი ექიმთა წყალობით დღეს ითამაშებს.

ჩელსელებმა საკვალიფიკაციო ეტაპზე „ჟილინას“ დამარცხებისთვის ათასი გირვანქა მიიღეს.

ჯგუფში გამართული ექვსი შეხვედრიდან ყველაზე მეტად რომში „ლაციოს“ ძლევა დაუფასდათ, რისთვისაც პრეზიდენტმა ბიჭებს 45-45 ათასი ჩაუწხრიალა.

პრაღაში „სპარტასთან“, ხოლო სტამბოლში „ბეშიქთაშთან“ მოგებამ „არისტოკრატების“ ქისას 30-30 ათასი გირვანქა მიამატა.

მეოთხედფინალიდან „შტუტგარტის“ გაგდებამ კიდევ 50-50 ათასით გაამდიდრა ჩელსის ფეხბურთელები, ახლა კი „მონაკოს“ თუ ჩამოიცილებენ, რომან აბრამოვიჩი 75-75 ათას გირვანქას ჰპირდება.

აქვე გავიხსენოთ, რომ „მონაკო“ შარშან ზაფხულში 50 ათასი ევრო ვალის გადაუხდელობისთვის კინაღამ მეორე დივიზიონში გაამწესეს.

ვაჟა ხუციშვილი

„მონაკოს“ იმედი და გამტანი ფერნანდო მორიენტესია

საჭარაულო შემადგენლობები

მონაკო

რომა, იბარა, როდრიგესი, გივე, ევრა, ბერნარდი, ზიკოსი, როტენი, ჟიული, პრსო, მორიენტესი

ჩელსი

ამბროზიო, მელხიოტი, დესაი, ტერი, ბრიჯი, გრონკიაერი, პარკერი (ან მაკელელე), ჯ. კოული, ლამპარდი, კრესპო, ჰასელბაინკი (ან გუდიონსენი)

დისკვალიფიცირებულნი:

მონაკო: არავინ

ჩელსი: დემიენ დაფი (1 მატჩი)

რებეკას გამო დევიდს ვიქტორია არ მიატოვებს

ყვითელი ამბავი გათეთრდა

პრესამ თხარა, თხარა და ვიქტორიას...

ატეხა ყვითელმა ინგლისურმა პრესამ ერთი ამბავი, დევიდ ბექემი ცოლს ღალატობსო და, ეჭვი არ შეგეპაროთ, ამ ცნობით ტიراჟი გაზარდა და გაზარდა. ხომ გახსოვთ, რაზეცაა ლაპარაკი? „სანის“ საკვირაო დამატებამ „ნიუზ ოფ ზი უორლდმა“ საიდანღაც მოიტანა, რომ ინგლისის ნაკრების კაპიტანი მავან 29 წლის, მოგვიტევეთ და ნაშასთან, სარა მარბეკთან (რომელზეც ისიც დაიწერა, რომ ფოტომოდელი იყო და ისიც, რომ გამოძახებაზე მუშაობდა) ორი წლის წინ ლაღობდა. შემდეგ სარა მარბეკს ზედ 26 წლის რებეკა ლოსიც დაემატა. ეს რებეკა ლოსი საკუთრივ ბექემების, ასე ვთქვათ, წარმომადგენლობაში თუ ოფისში მუშაობდა, დაახლოებით მათი მოურავთაგანი იყო და ესპანეთში, მადრიდში ტრიალებდა დევიდის ირგვლივ. შემდეგ კი აგორდა და აგორდა. ატეხეს ამ ყვითელმა გაზეთებმა ფულის ყრა — ქალებს ათასი მსხვილმანი და წვრილმანი ათქმევინეს, ბექემ-ადამსების მეგობრებს სულ წვრილად მოაყოლინეს, რა ჩაიბურდღუნა დევიდმა და რა დაიწივლა ვიქტორიამ, რის მერეც, საიდანღაც ვილაც მესამე ქალი გამოაძრეს. ეს გახლავთ მავანი სელინა ლური, სასულიერო პირის 27 წლის ქალიშვილი, რომლის ამბავიც წვრილად ჯერ არ დაუტრიალებიათ, იმიტომ, რომ რაღაც მართლა არ ჰგავს სიმართლეს. ისე, თვითონ ქალი იძახის კი, იყო ჩვენს შორის მთელი ამბავიო.

ამ სრა-სასახლეში ისევ დევიდი და ვიქტორია იცხოვრებენ

ამ ყველაფერს კი დევიდ და ვიქტორია ბექემებმა ძალიან საინტერესო პასუხი გასცეს: შინ გამაგრდნენ და საჯაროდ იცხოვრეს ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცხოვრებით. კერძოდ, დევიდი, რომელიც შაბათს მადრიდში „ატლეტიკო“ — „რეალის“ დერბიში მონაწილეობდა, საშინაო ჯინსებში და რამეებში გამოწყობილი ცოლს ჩვეულებრივად ეხუმრებოდა, ხოლო ცოლი, რომელიც შაბათს 30 წლისა გახდა და ქმრისგან საჩუქრად მილიონ გირვანქად ნაყიდი ვარდისფერი ბრილიანტის ბეჭედი და საყურეები მიიღო, პარიკმახერს... მოგვიტევეთ, სტილისტს მასპინძლობდა. იქვე, ოთახში, თავისთვის თამაშობდნენ შვილები, ბრუკლინი და რომეო.

ხოლო მთელ ამ ისტორიაზე ვიქტორიამ ერთი მშრალი წინადადება თქვა:



დაიმონ მარიჩი

„ეგლა მაკლია, იმ ბოზს ოჯახი დავანგრევინო“.

ვინ არის ბოზი? რებეკა ლოსი. ვიქტორია ადამსს ყველაზე მეტად, როგორც ჩანს, მისი ამბავი მოხვდა გულზე, თორემ სარა — მართლა ბოზ-მარბეკზე, რეაქცია არ ჰქონია.

ამასწინათ წერდა „ნიუზ ოფ ზი უორლდი“, რებეკა ლოსმა ერთ-ერთ ტელეარხზე მოიგონა დევიდი მისთვის მარწყვს როგორ ყიდულობდა და ვიქტორია ამაზე გაგიჟდა, მეგობრებთან სულ ცეცხლები ჰყარაო.

სხვა რა?..

რა და, რებეკა ლოსი კვირას მალაგიდან ლონდონს ჩაფრინდა, რათა კიდევ ერთ ტელეშოუში მიეღო მონაწილეობა — გოგო ფულს შოულობს. თუმცა ამ ფულს ერთი უარყოფითი თვისება აქვს. კერძოდ, ყვითელი გაზეთები მხოლოდ შენი მონაყოლის ბეჭდვით არ იფარგლებიან და სხვა ამბებშიც იჩხრიკებიან. მაგალითად, „სანმა“ გამოაქვეყნა ვინმე 30 წლის დაიმონ მარიჩის ნაამბობი, როგორ მიდიოდა ტრასაზე მანქანით, როგორ გააჩერა უცნობმა ქალმა (იფიქრა ჩავსვამ, რა იცი, რა უჭირსო), რომელიც გვერდით მიუჯდა და ხმის ამოუღებლად დაუწყო მოფერება. ერთი სიტყვით და დანარჩენი დეტალების გამოტოვებით, ეს ქალიო, უთქვამს წარმოშობით სამხრეთაფრიკელ ფოტოგრაფს, რებეკა ლოსი იყოო.

ეტყობა, ამ ბიჭმაც აი, ამ მონაყოლით ორი კაპიკი იშოვნა.

და ხედავთ, რამდენ ადამიანს აჭმევს ეს ჩვენი ბექემი?

პაპუნა კედია

იტალია

სერია A. XXX ტური

მოდენა 0:1 რომა

0:1 ტოტი (55)

მოდენა: ძანკოპე, პავანი, მ. მაიერი, გრანდონი, კამპედელი (დ. კამარა 59), მარასკო, ვინიაროლი, სკოპონი (დომიცი 59), ბალესტრი, ნ. ამორუზო (მაკინვა 74), მარაცინა

მწვრთნელი: ჯანფრანკო ბელოტო

რომა: პელიცოლი, პანუჩი, დელასი, კიეუ, კანდელა, მანსინი, ტომაზი, დაგოსტინო, ფ. ლიმა, ტოტი, ა. კასანო

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

გაფრთხილება: ლიმა, დაგოსტინო, მარასკო, დელასი, დომიცი, კასანო

მსაჯი: პელეგრინო

18 000 მაყურებელი

მარაცინას ოვაცია

ფრანჩესკო ტოტიმ „მოდენას“ ალყა მაინც გაარღვია

ფრანჩესკო ტოტის დარტყმამ „რომას“ მოდენადან სამი ქულა წაიღებინა. „ჯალო-როსის“ „სტადიო ბრალიადან“ ამ სამი ქულის გამოღლეტვა წყალივით რომ სჭირდებოდა, ფაქტია. წინააღმდეგ შემთხვევაში მწვრთნელის, ფაბიო კაპელოს ჯერ კიდევ შემორჩენილ იმედს, რომ „მილანს“ დაეწევა და ჩემპიონიც გახდება, არსებობა აღარ ეწერებოდა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ რომაელებს დისკვალიფიცირებულნი, ოლივიე დაკური და ემერსონი, ხოლო ტრავმის გამო ვალტერ სამუელი აკლდნენ, მაგრამ „რომას“ ამბავი ხომ მარტივადაა: თუ ტოტი იქ არის და თან იშტაზეა, იგებს, ხოლო თუ არა, კაცმა არ იცის, რა მოხდება. თუმცა ერთია, ამ ბოლო დროს ანტონიო კასანოც ეხმარება თავის კაპიტანს ვარსკვლავობაში.

პირველი სახიფათო მომენტი ტოტიმ მეხუთე წუთზევე შექმნა, როდესაც საჯარიმოდან ბურთი ძელს მიახუჭუჭა. შემდეგ, კასანოს დარტყმული ადრიანო ძანკოპემ მოიგერია, მაგრამ მანსინიმ მოგერიებულს ვერ მიუსწრო.

„მოდენამ“, რომელმაც ამ სარბიელზე ორი კვირის წინ „მილანთან“ ფრე გაახერხა, ძელისთვის ბურთის გარტყმა ეგრე არ უნდაო და ბალესტრის ჩაწოდებულ ბურთს მასიმო მარაცინამ თავით სწორედ რომ ძელი შეაყანყალებინა, მაგრამ ამ შეხვედრაში მთავარი „რომა“ გახლდათ — კასანომ ტოტის მიაწოდა, კაპიტანმა კი თავური დაარტყა, ოღონდ სუსტად და ბურთი პირდაპირ მეკარეს მიუვიდა.

34-ე წუთზე ისევ „რომა“ უტევდა: ფრანსისკო ლიმას დარტყმული ბურთიც მოდენელმა აისხლიტა და ოდნავ აცდა კარს, ამ გადასულის გამო ჩამოწოდებულ კუთხურს კი ის ბედი ეწია, რომ ტოტიმ ახლოდან თავი ჰკრა და ძანკოპემ იყოჩაღა.

შემდეგ „მოდენამ“ წაუძელა — ფაბიო ვინიაროლის დარტყმული საჯარიმო ძელმა აიღო, მაგრამ დაადგა 55-ე წუთი და ტოტიმ ყველას აჩვენა, როგორ უნდა გატანა.

თუმცა, ჩვენი ღრმა რწმენით, შეხვედრის მთავარი მომენტი ამის შემდეგ დადგა, როდესაც „მოდენას“ თავდამსხმელი — სხვათა შორის ადრე „რომაში“ ნათამაშები — მასიმო მარაცინა სტუმრების საჯარიმოში ერთობ რთულად აღსაქმელ სიტუაციაში წაიქცა. „სტადიო ბრალიამ“ ხმაურით მოითხოვა პენალტი, მაგრამ თავად მარაცინამ, როგორც ნამდვილმა სპორტსმენმა, განაცხადა, რომ რომაელ მცველებს თამაშის წესი არ დაურღვევიათ.

შემდეგ ისევ ტოტის ჰქონდა მომენტი, სტუმრების კარისკენ კი სახიფათოდ დაარტყა სენეგალელმა დიომანსი კამარამ, კვლავ „მოდენას“ კართან კასანოს ჩაწოდებულს კი კრისტიან პანუჩიმ ჰკრა თავური, ხოლო ტოტიმ საჯარიმოდან ძელს მოარტყა ბურთი (თუმცა კასანო თამაშგარეთ იდგა) — ბალესტრის „მოდენას“ ვეტერანი ნიკოლა ამორუზო დაუშვა, ანგარიში კი აღარ შეცვლილა.

პაპუნა კედია

პაპუნა კედია

მილანი	30	23	6	1	59:20	75
რომა	29	20	6	3	63:14	66
იუვენტუსი	30	19	6	5	59:36	63
ინტერი	30	15	7	8	54:33	52
პარმა	30	14	9	7	49:40	51
ლაციო	29	15	5	9	47:33	50
სამპდორია	30	11	12	7	39:36	45
უდინეზე	30	12	9	9	37:34	45
ბოლონია	30	9	8	13	40:47	35
კიევო	30	8	10	12	29:35	34
ბრეშა	30	7	12	11	46:51	33
სიენა	30	7	10	13	36:46	31
ლეჩე	30	8	7	15	34:50	31
რეჯინა	30	5	14	11	24:40	29
მოდენა	30	5	12	13	24:39	27
ემპოლი	30	6	9	15	21:46	27
პერუჯა	30	3	13	14	38:54	22
ანკონა	30	1	7	22	18:63	10

ბომბარდირები

შევჩენკო (მილანი)	21
ჯილარდინო (პარმა)	18
ტოტი (რომა)	17
ჩევანტონი (ლეჩე)	16
ტრეზეგე (იუვენტუსი)	15

ობაფემი მარტინსი

მარტინსი, რონალდო და ბოლონია
რაზე ფიქრობს ტრეზეგე?

სერია A-ს 30-ე ტური გმირებად და ანტიგმირებად იტალიელმა მიმომხილველმა, დომინიკ ანტონიონიმ შეარჩია

ობაფემი მარტინსი *(ინტერი)* — ეს ბიჭი მუდმივად უნდა თამაშობდეს. მაშინაც კი, როდესაც ცუდი დღე აქვს, პატარა სასწაულის შემოთავაზება შეუძლია. „ბოლონიას“ კარში მის მიერ შეგდებულმა გოლმა კი იტალიაში რონალდოს პირველი გოლი მომაგონა — სხვათა შორის, ისიც „ბოლონიას“ კარში. კრიტიკოსები ამბობენ, რომ ტექნიკა აკლია, მაგრამ მისი სისწრაფის და მონდომების პატრონს რაც აქვს, ის ტექნიკაც ჰყოფნის.

ფრანჩესკო ტოტი *(რომა)* — „რომამ“ მოდენაში მხოლოდ ერთი კაცის წყალობით მოიგო. ის, რომ მოედანზე არ ყოფილიყო, რომაელები წამოიღებდნენ სამ ქულას თუ არა, კაცმა არ იცის, მისი გოლი ტექნიკას, ღონეს და ალღოს საჭიროებდა. ტოტისა და ზინედინ ზიდანის ერთ გუნდში წარმოდგენა კი დიდებული იქნებოდა.

მარკო დი ვაიო *(იუვენტუსი)* — როგორი გოლი გაუტანა თავის ყოფილ გუნდს?! ეს გოლი ალექს დელ პიეროს რომ გაეტანა, ხალხი თვეობით ილაპარაკებდა. სამწუხაროა, რომ დი ვაიო „დელე ალპიზე“ მხოლოდ სათადარიგოა.

ჟერემი ბრეშე *(ინტერი)* — გაუგებარია, რა მოუვიდა ადამიანს, რომელიც ნახევარი წლის წინ საფრანგეთის ნაკრების კანდიდატად განიხილებოდა. დღეს ის ათ წუთს ვერ ატარებს უხეში შეცდომის გარეშე.

სემ დალა ბონა *(ბოლონია)* — ეს ის ბიჭი აღარ არის, „ჩელსიდან“ წასვლის შემდეგ რამდენიმე გუნდი რომ ნადირობდა. ის მოედანზე მხოლოდ აჩრდილი იყო.

დავიდ ტრეზეგე *(იუვენტუსი)* — თუ გოლი არ გააქვს, ცუდად თამაშობს ანუ „იუვეს“ ერთიან საქმეში წვლილი ვერ შეაქვს. პარმაში ტრეზეგემ სამი ნაღდი მომენტი გაუშვა ხელიდან. ალბათ იმ მომენტში „ბარსელონაზე“ ფიქრობდა.

პაპუნა კედია

დავიდ ტრეზეგე

მე ვარ ვიერი!
ინტერში ხმაური უსიტყვოდ დაიწყო



ალბერტო ძაკერონი და კრისტიან ვიერი ერთმანეთთან უბრად არიან

„ინტერის“ ამბავი დღეს შეგვიძლია უფრო გაშლილად მოვყვეთ: კრისტიან ვიერიმ „ბოლონიასთან“ შეხვედრაში სათადარიგოთა სკამზე ჯდომა იუარა და მეტიც, გუნდს სტადიონზეც კი არ წაჰყვა.

„მაგ კაცს ბევრჯერ ვუთხარი, რომ თხუთმეტი-ოცი წუთისთვის თუ ვჭირდები, მე ბაზაზე დარჩენა და სრულყოფილად ვარჯიში მირჩევნია. წინააღმდეგ შემთხვევაში დღე დაკარგულია. ვარჯიშზე ფიზიკურ ფორმას მაინც შევინარჩუნებ და მზად ვიქნები იმ დღისთვის, როდესაც მათამაშებს, ანუ თუ არ მათამაშებს, რაიმე სასარგებლო მაინც გავაკეთო...“ — განაცხადა იტალიის ნაკრების ფორვარდმა, რომელიც ალბერტო ძაკერონიმ განაცხადში კი შეიყვანა, მაგრამ, როგორც ჩანს, სასტარტო შემადგენლობაში არ ჩაწერა. სხვათა შორის, მდგომარეობის გამოსწორება კლუბის გენერალურ დირექტორს მარკო ბრანკას უცდია, თუმცა დახეთ, რა ტყუილად:

„ალბერტო ძაკერონისთან არანაირი კონფლიქტი არ მაქვს — თქვა ვიერიმ — მეტიც, მწვრთნელს საერთოდ არ ველაპარაკები, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ ვვარჯიშობ ან გუნდისთვის კარგად თამაში არ შემიძლია. ერთსაათიანი ვარჯიშის შემდეგ ათწუთიანი ფეხბურთი იმ დღეს უკვე ნათამაშები მქონდა. სხვათა შორის, მინდა ყურადღება მიაქციოთ იმას, რაც წინა მატჩებმა გვაჩვენა — ასეთ პირობებში მოედანზე კარგად არაფერი გამომდის“.

შეგახსენებთ, რომ ძაკერონისა და ვიერის დაახლოებით მსგავს თემაზე ამ სეზონში უკვე მოუვიდათ კონფლიქტი — ფორვარდი „ინტერს“ უდინეში არ წაჰყვა თასის თამაშზე.

„გარწმუნებთ, ასეთი ამბები სერია A-ს ყოველ ტურში ხდება, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ხმაური გამოიწვია, რადგან მე კრისტიან ვიერი გახლავართ“ — აღნიშნა იტალიური ფეხბურთის ერთ-ერთმა ვარსკვლავმა.

პაპუნა კედია

ესპანეთი

პრიმერადივიზიონი XXXIII ტური

ბარსელონა 3:0 მალაგა

1:0 სავიოლა (18), 2:0 ლუის გარსია (27), 3:0 კოკუ (34)

ბარსელონა: ვ. ვალდესი, რაიციგერი, პუიოლი (მარკესი 44), ოლეგერი, ვან ბრონკჰორსტი, ხავი, კოკუ, დავიდსი (ინიესტა 46), ლუის გარსია (ოვერმარსი 82), რონალდინიო, სავიოლა

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

მალაგა: კალატაიუდი, ხოსემი, ვალკარსე (ისნატა 72), ფ. სანსი, ხერარდო (რუანო 60), ინსუა, რომერო, ივან ლეკო, დიეგო ალონსო, ედგარი, სალვა (მანუ 80)

მწვრთნელი: ხუანდე რამოსი

გაფრთხილება: ხერარდო, ხოსემი

მსაჯი: იტურალდე გონსალესი

83 300 მაყურებელი

სავიოლა ასიანია

ხავიერ სავიოლამ ერთი თავად გაიტანა, ერთიც ლუის გარსიას გაატანინა

ხავიერ სავიოლამ და ფილიპ კოკუმ სამი გოლით გაისტუმრეს „მალაგა“ და „ბარსელონა“ ცხრილში მესამე ადგილზეც აღაზევეს. ამ მოგებით კატალონიელთა ჩემპიონობის მიძინებული იმედი ცოტათი ისევ გაღვივდა, მით უფრო, მომდევნო ტურის წინ — უახლოეს უქმეებზე „ბარსა“ „რეალს“ ხვდება და თუ დაამარცხა, ოთხ ქულამდე მიუახლოვდება. იქ ეგებ „ვალენსიამაც“ დაკარგოს ქულები და...

თუმცა ჯერ ის ვთქვათ, რაც ზუსტად ვიცით. ზუსტად კი ვიცით ის, რომ სავიოლას საკვირაო გოლი მეასე იყო, რომელიც არგენტინელმა „ბარსას“ სასახელოდ გაიტანა.

ანგარიში მე-19 წუთზე გაიხსნა, მაგრამ „ბარსამ“ თამაში ისეთი შემართებით დაიწყო, გასაკვირი არ იქნებოდა, ერთი ორი გოლი იქამდეც გაეტანა. ნახსენებ წუთზე კი გარსიამ ფლანგური პასი ახლო ძელთან ჩააწოდა, სადაც სავიოლას ფეხი მოსაქნევად გამზადებული ჰქონდა.

ხუთ წუთში „ბარსელონამ“ პირველის მსგავსი გოლი გაიტანა, ოღონდ ამჯერად როლები იყო შეცვლილი — პასი სავიოლასი იყო, გოლი კი გარსიასი.

აქვე აღვნიშნოთ, რომ მალაგელთა დაცვა ურიგოდ არ იყო ორგანიზებული და რაკი მასპინძლები მას გადიოდნენ, ეს კატალონიელთა გამორჩეულ სიძლიერეზე მიანიშნებს.

მესამე გოლი, როგორც თავშივე ვთქვით, კოკუმ გაიტანა ხავის პასით და ამის მერე ფრანკ რაიკარდმა უკვე „რეალთან“ მომდევნო ტურის მატჩზე დაიწყო ფიქრი. ეს იმაში გამოიხატა, რომ მწვრთნელმა მოედნიდან ედგარ დავიდსი გაიყვანა, რომელსაც დისკვალიფიკაციამდე ერთი გაფრთხილება აკლდა.

კოკუს და სავიოლას კიდევ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ ვეღარ იხეირეს და პირველ ტაიმში გატანილ სამ გოლს დაყაბულდნენ.

ბოლოსთვის კი მატჩის ჩვენი აზრით უპირობო გმირი შემოვინახეთ. რასაც კვირას რონალდინიო აკეთებდა, ფეხბურთის ენაზე რა ჰქვია, ვერ გეტყვით, მფრინავები კი უმაღლეს პილოტაჟს ეძახიან. ხოლო ის გარემოება, რომ რონალდინიო ასე სისტემატიურად თამაშობს, მას დიდვარსკვლავთა მარაქაში აყენებს.

კოტე კეკელია

ვალენსია	33	21	7	5	63:23	70
რეალი	33	21	7	5	6[illegible]:40	70
ბარსელონა	33	18	9	6	55:34	63
დეპორტივო	33	18	7	8	53:31	61
ბილბაო	33	14	9	10	46:40	51
ოსასუნა	33	11	15	7	36:30	48
ატლეტიკო	33	13	9	11	40:41	48
მალაგა	33	14	4	15	44:48	46
სევილია	33	12	9	12	45:38	45
ვილიარეალი	33	12	8	13	41:43	44
ბეტისი	33	10	13	10	40:37	43
სოსიედადი	33	10	10	13	39:45	40
რასინგი	33	10	9	14	44:56	39
სარაგოსა	33	10	8	15	36:46	38
ვალიადოლიდი	33	9	10	14	39:48	37
ალბასეტე	33	10	7	16	32:42	37
მალიორკა	33	10	6	17	40:59	36
ესპანიოლი	33	10	4	19	38:55	34
სელტა	33	7	12	14	42:59	33
მურსია	33	3	11	19	25:51	20

სეგუნდადივიზიონი XXXIII ტური

სიუდად მურსია 0:2 ნუმანსია

0:1 ანტონიო (77), 0:2 ხისკო (90)

ნუმანსია	33	18	8	7	46:21	62
სპორტინგი	33	17	7	9	45:29	58
ლევანტე	33	16	10	7	40:25	58
ალავესი	33	15	11	7	36:26	56
ხეტაფე	33	13	14	6	37:30	53
უელვა	33	11	17	5	35:26	50
კადისი	33	14	6	13	37:32	48
ეიბარი	33	11	13	9	33:23	46
ტერასა	33	12	9	12	34:34	45
ხერესი	33	9	16	8	36:39	43
ელჩე	33	11	10	12	39:46	43
სიუდად მურსია	33	9	14	10	40:48	41
სალამანკა	33	8	16	9	36:33	40
კორდობა	33	9	13	11	28:28	40
ტენერიფე	33	7	17	9	24:28	38
ეხიდო	33	10	8	15	26:36	38
ალმერია	33	8	13	12	35:40	37
ლეგანესი	33	8	13	12	30:39	37
რაიო	33	10	6	17	36:50	36
მალაგა B	33	7	13	13	33:44	34
ლას პალმასი	33	7	12	14	37:52	33
ალხესირასი	33	4	12	17	28:42	24

პავონი დერბიდან დერბამდე

ფრანსისკო პავონი „რეალის“ ძირითად შემადგენლობას უიღბლოდ დაუბრუნდა — მადრიდული დერბიში უხეში თამაშისთვის არბიტრმა გააძევა და თერთმეტმეტრიანი დანიშნა. „ატლეტიკოს“ პაუნოვიჩმა პენალტის გატანა შეძლო, თუმცა სამეფო გუნდმა საბოლოოდ მატჩის მოგება მაინც მოახერხა. პავონი მსაჯის გადაწყვეტილებით უკმაყოფილოა, „რეალის“ სამომავლო გამარჯვებებში დარწმუნებულია. მას ნამატჩევს „ლიბრედირექტოს“ კორესპოდენტმა მიაკითხა

— ხავიერ დელგადომ მეორე ყვითელი ბარათი ნიკოლაიდისთან შეჯახების შემდეგ გაჩვენათ. თქვენი აზრით, უნდა ყოფილიყო პენალტი?

— არ ვიცი, ზუსტად ვერ გეტყვით, იმ ეპიზოდში რა მოხდა. საჯარიმოში არეულობა იყო. მსაჯმაც ალბათ ვითარება თავისებურად შეაფასა და პენალტით დაგვსაჯა. ვეჭვობ, იქ რაიმე წესის დარღვევა ყოფილიყო.

— მატჩის მერე „ატლეტიკოს“ მეკარე სერხიო არაგონესმა განაცხადა, „რეალმა“ მსაჯის დახმარებით მოიგო. რას იტყვით ამის შესახებ?

— პირადად მე ჩვენი გუნდისადმი არბიტრის სიმპათიები არ შემიმჩნევია — პირიქით, როგორც უკვე გითხარით, დელგადომ საკამათო პენალტი აგვკიდა. მსაჯებს რაც შეუძლიათ, იმას აკეთებენ. ხანდახან კარგად გამოსდით თავიანთი საქმე, ხანდახან — არა. ცუდია, როდესაც წაგებულ თამაშებს მარტო არბიტრებს აბრალებენ.

— ამ ბოლო ხანს „რეალი“ კრიზისს განიცდიდა, თუმცა „კალდერონიდან“ მართლაც უმნიშვნელოვანესი 3 ქულა წაიღეთ. „რეალმა“ „ათლეტთა“ ძლევით თავისი უიღბლო თამაშების სერია დაამთავრა?

— ჩემი აზრით, ეს კრიზისი არც ისე მძიმე იყო... თუმცა გააჩნია, საქმეს რომელი კუთხიდან შევხედავთ — მარცხის შემთხვევაში უცბად გამოჩნდება ხალხი, რომელიც ჩვენზე აუგს იტყვის. განა რამე შეიცვალა იმ შემადგენლობაში, „მონაკოსთან“ და „ოსასუნასთან“ რომ წააგო? თითქმის იგივე ძალებით დავამარცხეთ „ატლეტიკო“.

— თუ მანსანოს გუნდს ვერ მოუგებდით, ჩემპიონობაზე თითქმის უკვე უარი უნდა გეთქვათ...

— გეთანხმებით, ამ სამი ქულის დაკარგვა არ შეიძლებოდა. მიხარია, ყველაფერი ასე რომ დამთავრდა.

— უკანასკნელი სამი კვირის განმავლობაში განიავებული ქულები ალბათ თავს მოგვიანებით, ჩემპიონატის ბოლოს შეგახსენებთ...

— „ოსასუნასთან“ შეხვედრამდე ლიდერები ვიყავით და ძირითადად ჩვენს შედეგებს ვაქცევდით ყურადღებას. ახლა ვითარება შეიცვალა. ბევრი რამ „ვალენსიაზეცაა“ დამოკიდებული, „რეალმა“ კი ყველა დარჩენილი თამაში უნდა მოიგოს.

— მომდევნო ტურში „ბარსას“ მასპინძლობთ. თქმა არ უნდა, ეს უმძიმესი შერკინება იქნება...

— გაცილებით უფრო მძიმე, ვიდრე „ვისენტე კალდერონზე“ ვნახეთ. „ბარსელონასთან“ თამაში ჩვენთვის ყოველთვის განსაკუთრებულია. მით უმეტეს, ახლა, როდესაც „ვალენსია“ „რეალის“ ნებისმიერ შეცდომას ელოდება, რათა ქვეყნის ჩემპიონი გახდეს. რა თქმა უნდა, ვეცდებით, კასტილიურ-კატალონიური დერბი ჩვენს სასარგებლოდ დასრულდეს.



ხესუს ხილი ხილი

მწარე ხილი დელგადოსთვის

ესპანეთში „მადრიდის რეალი“ და „უსინდისო მსაჯობა“ თითქმის განუყოფელ მცნებებად იქცა.

სამეფო თეთრთა ერთგული ინჩასობის გარდა ყველა „რეალისადმი“ არბიტრების გადამეტებულ სიყვარულზე საუბრობს და საეჭვო პენალტებისა თუ თამაშგარეების გაპროტესტებიო, ყელი ჩაეხლიჩათ.

ამ უკანასკნელთა რიცხვს მადრიდის „ატლიტიკოს“ ლეგენდარული მთავარკაცი ხესუს ხილი ხილიც შეემატა, რომელმაც ერთ-ერთი ესპანური რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში ხავიერ მორენო დელგადო თავისი თანაშემწეებითურთ მიწასთან გაასწორა. კატალონიელი დელგადო „ატლეტიკო“ — „რეალის“ მსაჯული გახლდათ.

„მე თქვენ გეტყვით, თუ რა გრძნობა დამრჩა ამ მატჩის დასრულების შემდეგ — უკიდურესი ძალისხმევა დამჭირდა ტრიბუნაზე გული რომ არ ამრეოდა. საინტერესოა, რა უბედურება სჭირთ მსაჯებს და „რეალს“ რატომ ეხმარებიან? ასი პროცენტით დარწმუნებული ვარ, ჩვენი გუნდის ქომაგებსაც მსგავსი გრძნობა ექნებოდათ. „რეალის“ გოლები არ უნდა ჩაეთვალათ — ერთი თამაშგარე იყო, მეორეს დროს კი ჯარიმას უფრო ველოდებოდი „ატლეტიკოს“ სასარგებლოდ, რაული არაგონესესს აშკარად ეუხეშა... ორმოცდაათი ათასი კაცის თანდასწრებით, დელგადომ ყველაფერი გააკეთა სტუმარი გუნდის მოსაგებად — განაცხადა ხესუს ხილი ხილმა და ხელსაყრელი შემთხვევა, „რეალისთვის“ ყბადაღებული „ვალენსიური პენალტის“ ამბავი წამოეძახებინა, ხელიდან არ გაუშვა: „რაულისა და მარჩენას ეპიზოდი გაიხსენეთ, იქ ხომ არარსებული პენალტი გამოიგონეს! „ვალენსიას“ უტიფრად მოჰპარეს გამარჯვება, დაახლოებით ისე, როგორც ჩვენ მოგვექცნენ.“

ლადო ხომერიკი

REUTERS რიო დე ჟანეიროდან

ფლამენგო — ვასკუ და გამა.
ვასკუელმა კოუტინიომ მასპინძელთა ფელიპეს ლამის ფეხი წააცალა

საშტატო ბრძოლები ბრაზილიაში

30 ათასი ლიტრი ლუდი და [illegible]

ბრაზილია

პაულისტა (სან პაულუს შტატი)
ფინალი. საპასუხო მატჩი
სან კაეტანო 2:0 პაულისტა (3:1)
კარიოკა (რიო დე ჟანეიროს შტატი)
ფინალი. საპასუხო მატჩი
ფლამენგო 3:1 ვასკუ და გამა (2:1)
მინეირო (მინას ჟერაისის შტატი)
ფინალი. საპასუხო მატჩი
ატლ. მინეირო 1:0 კრუზეირო (1:3)

ეს იყო ბრაზილიის სამი შტატის ჩემპიონატის ფინალური თამაშების საპასუხო მატჩები: ლიგა კარიოკას (რიოს პირველობა), ლიგა მინეიროს (მინას ჟერაისის ჩემპიონატი) და ლიგა პაულისტას (სან პაულუს შეჯიბრი).

ეს უკანასკნელი მშვიდობიანად დასრულდა: „სან კაეტანომ“ ორი მატჩის ჯამში 5:1 მოუგო „პაულისტას“ და სან პაულუს ჩემპიონიც შეიქნა.

სამაგიეროდ, იყო ორი სხვა შტატის ფინალი, კარიოკაში, „ფლამენგო“ — „ვასკუ და გამას“ შეხვედრაში ექვსი კაცი გააძევეს, მინეიროში კი „ატლეტიკო მინეირო“ — „კრუზეიროს“ თამაში მასობრივი ჩხუბით დასრულდა.

„ფლამენგო“ — „ვასკუს“ პირველი შეხვედრა „მენგოს“ მოუგო 2:1, საპასუხო მატჩს კი წინ უძღოდა ერთკვირიანი პროვოკაციები ორივე მხრიდან. თამაშის დასრულებამდე 15 წუთით ადრე მატჩი კინალამ შეწყდა, რადგან „ვასკუს“ მეოთხე ფეხბურთელი გაუძევეს და მოედანზე შვიდნი დარჩნენ.

ბელუ ორიზონტეში კი იქაური დერბი თითქოს მშვიდობიანად დაიწყო: ორივე გუნდს საგანგებო მაისურები გადაეცა, რომელთაც ზედ ერთადერთი სიტყვა, „მშვიდობა“ ეწერათ, რითაც ერთი კვირის წინათ ნაჩხუბარი გულშემატკივრები უნდა დაემშვიდებინათ. პირველი მატჩი „კრუზეიროს“ წააგო 0:1, მაგრამ ეს „მშვიდობა“ თავად ფეხბურთელებმა დაივიწყეს და ისეთი ამბავი ატყდა, რომ მოედანზე ლამის მთელი ტაიმის განმავლობაში პოლიცია იბრძოდა.

რიოში არეულობა იქიდან დაიწყო, რომ „ვასკუს“ პრეზიდენტმა ეურისიო მირანდამ 30 ათასი ლიტრი ლუდი წინასწარვე შეუკვეთა მომავალი ჩემპიონობის საზეიმოდ, გუნდის მწვრთნელი ჟენინიო კი ფარულმა კამერამ ვარჯიშზე ვერაგ დარიგებებში გამოიჭირა. ჟენინიო მოთამაშეს ეუბნებოდა: „თუ კვლავ ფეხზე დგას, პირდაპირ კოჭში მოარტყი“.

ვასკუელმა კოუტინიომ სწორედ ამგვარი წიხლით დააშავა „მენგოს“ პლეიმეიქერი ფელიპე. საერთოდ, უხეშობისთვის კიდევ ორი ფეხბურთელი მიაბრძანეს, დანარჩენები კი ჩხუბს ემსხვერპლნენ, მათ შორის, ფელიპეც.

ჯამში, კარიოკას საპასუხო ფინალში 50 ჯარიმა მოგროვდა. თამაშს „ვასკუ“ იგებდა, მაგრამ ფლამენგოელმა იგორმა ჰეთ თრიქი შეასრულა და მისმა გუნდმა 3:1 მოიგო, რაც ჯამში 5-2-ს და „შავწითელთა“ ჩემპიონობას ნიშნავდა. თამაშის შემდეგ „ვასკუს“ პრეზიდენტი მირანდა და მისი მცველები მუშტებით დაერიენ რეპორტიორებს, რომლებმაც ჰკითხეს, შეკვეთილ ლუდს რა უნდა უყოთო.

ბელუ ორიზონტეში მინეიროს ჩემპიონი შეიქნა „კრუზეირო“, რომელმაც ორი მატჩის ჯამში 3:2 გაიმარჯვა. „ატლეტიკოს“ გულშემატკივრებმა მაშხალა ესროლეს „კრუზეიროს“ მცველი კრისს, რომელიც უკვე გაძევებული იყო, მან კი მაშხალა აიღო და საპასუხოდ გაისროლა. ამასობაში „ატლეტიკოს“ მეკარე ედუარდომ მუშტებით შეუტია მოწინააღმდეგეს და მოედანზე შეცვივდნენ გულშემატკივრები და პოლიციელები.

ბრაზილია კი ელის საერთოეროვნული ჩემპიონატის დასაწყისს.

ლუჟაუ დუ მოუზკაუ

REUTERS რიო დე ჟანეიროდან

რიოში ერთმანეთი არც ჭომაგებმა დაინდეს

ბოკამ ხელი მოუჭირა

REUTERS ბუენოს აირესიდან

ბოკა ხუნიორსი — ნუევა ჩიკაგო.
ნერი კარდოზო სტუმარ ხორხე სან ესტებანს ასე გაუმასპინძლდა

არგენტინა

კლაუსურა. X ტური

ბოკა ხუნიორსი — ნუევა ჩიკაგო 2:0; როსარიო — ოლდ ბოიზი 0:0; კოლონი — კილმესი 3:3; ლანუსი — ბანფილდი 1:0; ოლიმპო — არსენალი 0:0; ჩაკარიტა — ატლეტიკო 1:3; სან ლორენსო — რივერ პლეიტი 1:2;ველესი — ესტუდიანტესი 3:1; რასინგი — ტალიერესი 3:1; ხიმნასია — ინდეპენდიენტე 1:1

„ბოკა ხუნიორსმა“ ზედიზედ მეშვიდე საშინაო მატჩი მოიგო და ხელიდან არ გაუშვა კლაუსურას ლიდერობა. „ბოკამ“ ხავიერ ვილარეალის და ანტონიო ბარახიოს ორი უპასუხო გოლით სძლია „ნუევა ჩიკაგოს“.

მეორე ადგილზე ავარდა „რივერ პლეიტი“ „სან ლორენცოს“ დამარცხების შედეგად, მესამე კი „ველეს სარსფილდია“, რომელმაც 3:1 სძლია მძიმე დღეში მყოფი „ესტუდიანტესი“.

კარლოს ბილარდოს გუნდმა იმდენი მოახერხა, რომ ბოლო ხუთ ტურში ვერც ერთი თამაში ვერ მოიგო და ოცგუნდა ცხრილში მე-18 ადგილზე აღმოჩნდა.

„ესტუდიანტესმა“ მარიანო პავონეს წყალობით ანგარიში კი გახსნა, მაგრამ სამწუთიან მონაკვეთში ერთბაშად ორი გოლი გაუშვა როლანდო სარატესა (9 გოლი კლაუსურაში) და მცველ მაქსიმილიანო პელეგრინოსგან. პელეგრინომ ერთიც შეხვედრის ბოლო წუთზე გაიტანა, დაცვით განთქმული ბილარდოს გუნდს კი სწორედ რომ სამარცხვინო დაცვა გამოადგა.

„ტალიერესი“, რომელიც კლაუსურას დაწყების დღიდან ამ კვირამდე ლიდერობდა გათამაშებას, ერთბაშად მეოთხე ადგილზე ჩამოვარდა, რახან „რასინგთან“ წააგო 1:3.

ონორიო ბუსტოს დომეცი

ბოკა ხუნიორსი	10	8	2	0	22:7	26
რივერ პლეიტი	10	7	1	2	29:13	22
ველესი	10	6	2	2	22:12	20
ტალიერესი	10	6	2	2	20:12	20
რასინგი	10	6	1	3	19:16	19
კოლონი	10	5	2	3	14:16	17
ინდეპენდიენტე	10	3	4	3	12:12	13
ლანუსი	10	4	1	5	14:16	13
ბანფილდი	10	3	3	4	11:11	12
ოლდ ბოიზი	10	2	6	2	15:13	12
სან ლორენსო	10	2	5	3	11:11	11
ატლეტიკო	10	3	2	5	13:15	11
კილმესი	10	2	5	3	11:13	11
ნუევა ჩიკაგო	10	2	5	3	12:16	11
ხიმნასია	10	2	4	4	16:16	10
არსენალი	10	1	6	3	9:15	9
როსარიო	10	2	3	5	10:17	9
ესტუდიანტესი	10	2	3	5	10:18	9
ოლიმპო	10	2	3	5	9:17	9
ჩაკარიტა	10	0	4	6	10:23	4

დიდი კაცის დიდი დოზა

დიეგო მარადონა, მძიმე მდგომარეობაში, მაღალი წნევითა და სუნთქვაშეკრული სასწრაფოდ გააქანეს ბუენოს აირესის კერძო კლინიკაში.

მარადონა კლინიკაში პირდაპირ „ბოკა ხუნიორსის“ მატჩიდან მოხვდა. მას ხელოვნურად სასუნთქი აპარატი უყენია.

ოფიციალური ცნობა არ ყოფილა, თუმცა, ყველას ახსოვს, რომ მას წლების განმავლობაში კოკაინის ყნოსვის მავნე ჩვევა ჰქონდა. თანაც, ბოლო დროს ძალიან გასუქდა. ერთ-ერთმა არგენტინულმა არხმა „ტუდო ნოტისიასმა“ გამოაცხადა, რომ მას ზედმეტი დოზა მოუვიდა. ხოლო, პირადმა ექიმმა, ალფრედო კაემ კომენტარზე უარი თქვა.

მთელი ღამის განმავლობაში „სუისო-კლინიკის“ წინ უამრავი ადამიანი იდგა: ოჯახის წევრებსა და მეგობრებს უბრალო ხალხიც ახლდათ.

2000 წელს, ურუგვაიში ყოფნისას მარადონას გულის მძიმე შეტევა დაემართა, რაც კოკაინის ზედმეტ დოზას დაბრალდა. შემდეგ ის დიდხანს მკურნალობდა კუბაში, შინ კი გასუქებული დაბრუნდა, რამაც ახალი ჭორები წარმოშვა მის ჯანმრთელობაზე.

ირაკლი გამყრელიძე

ახალმა პრეზიდენტმა კარლ აუერმა ახალ მწვრთნელად გერალდ ვანენბურგი აირჩია

ლომები ვანენბურგს ჩააბარეს

„მიუნხენ 1860“-ის პრეზიდენტმა კარლ აუერმა გუნდს ახალი მწვრთნელი უკვე მოუნახა. შეგახსენებთ, რომ ფალკო გიოტცი გასულ უქმეებზე „ჰამბურგთან“ მარცხის შემდეგ გაათავისუფლეს. მის ნაცვლად, სავარაუდოდ, ჰოლანდიელ გერალდ ვანენბურგს დანიშნავენ.

„ჩვენ სიტყვიერ შეთანხმებას უკვე მივაღწიეთ, მაგრამ კონტრაქტი ჯერ არ გაგვიფორმებია.“ — თქვა კარლ აუერმა.

კლუბის სპორტულმა დირექტორმა დირკ დუფნერმა დასძინა, რომ ახალი თავკაცი ალბათ სეზონის ბოლომდე იმუშავებს.

გერალდ ვანენბურგი 1988 წელს ჰოლანდიის ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონი გახდა, კარიერა კი „მიუნხენ 1860-ში“ დაასრულა.

იგი „ლომებში“ 1998-2000 წლებში თამაშობდა, ხოლო მოგვიანებით მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ მუშაობდა.

აღსანიშნავია, რომ ეს სეზონი „ლომებისთვის“ სკანდალური გამოდგა. კლუბის ყოფილი პრეზიდენტი კარლ-ჰაინც ვილდმოზერი ერთი თვის წინ მხილების გამო გადადგა კორუფციაში.

ვაჟა ხუციშვილი

ნისტელროი არ ნერვიულობს

ამ დღეებში ისევ ალაპარაკდნენ რუუდ ვან ნისტელროის „ბარსელონაში“ შესაძლო გადაბარგების თაობაზე. ისევ, რადგან ამაზე ლაპარაკი ჯერ კიდევ ზაფხულში დაიწყო.

მაშინ ითქვა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ „ბარსელონას“ ვან ნისტელროის დაუთმობდა, სამაგიეროდ კი, კარლეს პუიოლს ითხოვდა. ეს გარიგება არ შედგა, რაკი „ბარსას“ ვიცე-პრეზიდენტმა სანდრო როსელიმ თქვა, პუიოლი არ იყიდებაო.

ახლა პუიოლს აღარ ახსენებენ, ვან ნისტელროის კატალონიაში წასვლაზე კი ინგლისურ გაზეთებში ისევ დაიწერა.

თავად ჰოლანდიელი ფორვარდი ამ ამბავს უარყოფს: „სიმართლე გითხრათ, სულ არ ვნერვიულობ, როცა გაზეთებში ჩემი გადასვლის შესახებ ინფორმაციას ვკითხულობ. მთავარია, რომ მე ვიცი, არსად წამსვლელი არ ვარ.“

ირაკლი ნინიძე

ფეხბურთის რუკასთან

ფინელი იარი ლიტმანენი და „აიაქსი“ ერთმანეთს გაეყარნენ. კონტრაქტის გაწყვეტის ოფიციალურ მიზეზად „აიაქსის“ ხელმძღვანელობა ფორვარდის ხშირ ტრავმებსა და არასათანადო სათამაშო ფორმას ასახელებდა. ახლა ირკვევა, რომ ლიტმანენი გუნდიდან რონალდ კუმანთან უთანხმოების გამო წავიდა. „მას ძალიან დიდი დრო გაუცდა. როდესაც ახლად მომჯობინებული 31 მარტს დაგეგმილი ფინეთისა და მალტის ამხანაგური მატჩისთვის ნაკრებში გამოიძახეს, ვკითხე, თამაშს ხომ არ აპირებდა. იგი უპასუხოდ წავიდა. დარწმუნებული ვიყავი, არ გარისკავდა და მოედანზე არ გავიდოდა, მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როდესაც გოლების ავტორთა შორის ლიტმანენი ამოვიკითხე“ — განაცხადა კუმანმა.

ესპანური „რეალის“ ყოფილმა მექსიკელმა ვარსკვლავმა უგო სანჩესმა, რომელიც ამჟამად მშობლიური ქვეყნის კლუბს „ლოს პუმასს“ წვრთნის, თქვა: „ძალიან მწყინს, რომ „რეალმა“ დროის მცირე მონაკვეთში ბევრი მნიშვნელოვანი მატჩი წააგო. თუა ასე გაგრძელდა, კლუბს ახალი მწვრთნელი დასჭირდება და სიმართლე გითხართ, დიდი სიამოვნებით ჩავიბარებდი „სამეფო კლუბს“. თანაც ესპანეთში მოქმედ მოთხოვნებსაც ვაკმაყოფილებ, უკვე სამ წელიწადზე მეტია, რაც მწვრთნელად ვმუშაობ. თუმცა ისიც მესმის, რომ „რეალის“ თავკაცობა ძალიან სერიოზული საქმეა და იქამდე რომელიმე ესპანურ გუნდს თუ მანდობენ, ურიგო არ იქნება. ამიტომაც მომავალი სეზონის დაწყებას ველოდები და იმედი მაქვს, პრიმერადივიზიონიდან შემეხმიანებიან. რა თქმა უნდა, „ბარსელონა“ გამორიცხულია“.

ინგლისური „ჩელსის“ მფლობელი რომან აბრამოვიჩი ბრიტანეთის ყველაზე მდიდარ ადამიანად დაასახელეს. მისი ქონება 7,5 მილიარდ გირვანქად შეაფასეს. მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე მდიდარი ადამიანების სიაში აბრამოვიჩი 22-ე ადგილზეა, ხოლო ევროპაში მეექვსეზე.

პორტუგალიელმა უმბერტო კოელიუმ სამხრეთ კორეის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა. მან კონტრაქტის გაწყვეტის თხოვნით სამხრეთ კორეის ფეხბურთის ფედერაციას მალდივიის კუნძულებთან ნათამაშები უგოლო ფრის შემდეგ მიმართა. „ბოდიშს ვიხდი, რომ არ შემიძლია კონტრაქტის პირობების შესრულება. იმედი მაქვს, ფედერაცია ახალ მწვრთნელს ყოველმხრივ მხარდაჭერას გამოუცხადებს“ — აღნიშნა პორტუგალიელმა.

არგენტინელი მწვრთნელი ექტორ რაულ კუპერი შესაძლოა, 2005 წლის ზაფხულამდე უმუშევრად დარჩეს. იგი მილანის „ინტერიდან“ წავიდა, მაგრამ კონტრაქტი. კუპერის წარმომადგენელ ალესანდრო კამანოს თქმით, მისი კლიენტი იტალიური კლუბისადმი პატივისცემის გამოსახატავად კონტრაქტის პირობების დარღვევას არ აპირებს. ამის დასტურად კამანომ აღნიშნა, ცოტა ხნის წინ კუპერს მომავალი სეზონიდან მადრიდის „ატლეტიკოს“ გაწვრთნა შესთავაზეს, მაგრამ მან უარი განაცხადა.

ჰოლანდიური „აიაქსისა“ და „ფეიენოორდის“ ახალგაზრდულ გუნდებს შორის წინა კვირაში გამართული მატჩის შემდეგ უსიამოვნო ინციდენტი მოხდა. გულშემატკივრებმა „ფეიენოორდის“ რამდენიმე ფეხბურთელსა სცემეს. „აიაქსის“ ძირითადი გუნდის მოთამაშე რაფაელ ვან დერ ვაარტი ამის გამო იძულებული გახდა, პირადი დაცვა აეყვანა. „უკვე რამდენჯერმე მივიღე მუქარის წერილი. ამიერიდან ქუჩაში მარტო ღარ გავალ“ — განაცხადა ვან დერ ვაარტმა.

ჰონდურასული „პლატას“ გოლკიპერი ტომას მელენდესი სასამართლომ თავისი თანაკლუბელის ხორხე ესპინოსის მკვლელობაში დამნაშავედ სცნო და ათი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მკვლელობა გასული წლის 31 ივლისს მოხდა. ფეხბურთელებს კონტრაქტი უნდა გაეფორმებინათ და ერთმანეთს იმ საწერკალამს არ უთმობდნენ, რომლითაც ხელის მოწერას აპირებდნენ. ხუმრობა სერიოზულ ჩხუბში გადაიზარდა და მელენდესმა თავში ძლიერად ჩაარტყა ესპინოსს, რომელიც გაითიშა და გარკვეული დროის შემდეგ ტვინში სისხლის ჩაქცევის გამო გარდაიცვალა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მენდელესი სასჯელს არა ჰონდურასში, არამედ ცენტრალურ ამერიკაში მდებარე ციხე „ნასიონალში“ მოიხდის.

ინგლისური „არსენალის“ ფრანგი ნახევარმცველი პატრიკ ვიეირა შესაძლოა, მომავალ სეზონში „ინტერში“ გადაბარგდეს. გავრცელებული ჭორების თანახმად, ვიეირა კლუბში შექმნილი ვითარებით უკმაყოფილოა და ლონდონის დატოვება სურს. არ არის გამორიცხული, „შავ-ლურჯებმა“ ფულთან ერთად „მეთოფეებს“ მოჰამედ კალონი შესთავაზონ. აქვე აღსანიშნავია, რომ „არსენალი“ თავის მხრივ „ინტერის“ ნახევარმცველ ვან დერ მეიდეთია დაინტერესებული. წინააღმდეგი არც ჰოლანდიელია, რომელიც ვიეირას დარად თავის კლუბში შექმნილი ვითარება არ მოსწონს.

პორტუგალია

სუპერლიგა XXX ტური

ბეირა მარი 0:0 პორტუ

პორტუ	31	23	7	1	59:17	76
სპორტინგი	31	22	4	5	58:31	70
ბენფიკა	31	20	7	4	58:27	67
ნასიონალი	30	15	5	10	48:31	50
ბრაგა	31	13	9	9	32:36	48
რიუ ავე	31	11	12	8	41:30	45
მარიტიმუ	30	10	12	8	30:28	42
ბოავიშტა	31	10	11	10	29:28	41
მორეირენსე	31	10	10	11	27:31	40
ბეირა მარი	31	10	8	13	35:39	38
ლეირია	31	9	11	11	40:45	38
ჟილ ვისენტე	31	9	10	12	40:37	37
აკადემიკა	31	9	5	17	32:37	32
ალვერკა	31	9	5	17	30:44	32
გიმარაეში	31	7	10	14	29:38	31
ბელენენსეში	31	7	10	14	31:51	31
ფერეირა	31	8	3	20	23:46	27
ამადორა	31	4	5	22	20:66	17

დანია

I დივიზიონი. XX ტური

ფკ ორჰუსი — ფრემადი 0:2; სკიოლდი — ბ-1913 ოდენსე 3:0; ფრედერისია — ვაილე 1:1; კიოგე — რანდერსი 2:3; იოლსტიკე — ბრიონსჰიოი 2:1; ჰორსენსი — ბ-93 კოპენჰაგენი 1:1; სილკებორგი — ნორდიულანდი 2:0; სონდერიულანდი — ნიკიობინგი 2:1

სლოვაკეთი

I ლიგა. XXVI ტური

ბანსკა ბისტრიცა — რუზომბეროკი 2:1; დუბნიცა — პუხოვი 1:2; ტრნავა — ინტერი 1:3; პეტრჟალკა — ტრენჩინი 1:1; სლოვანი — ჟილინა 2:3

შვედეთი

ალსვენსკა. III ტური

აიკ — ტრელებორგი 0:0; ლანდსკრონა — იორებრო 0:1; სუნდსვალი — იორგრიტე 1:1; ელფსბორგი — მალმიო 1:5; ჰელსინგბორგი — იურგორდენი 1:1; გიოტებორგი — ჰალმსტადი 0:0. კალმარი — ჰამარბი დღეს გაიმართება

მალმიო	3	2	1	0	10:2	7
ჰალმსტადი	3	2	1	0	6:2	7
გიოტებორგი	3	1	2	0	3:0	5
იურგორდენი	3	1	2	0	6:4	5
იორგრიტე	3	1	2	0	3:2	5
კალმარი	2	1	1	0	2:1	4
აიკ	3	1	1	1	2:3	4
იორებრო	3	1	0	2	4:10	3
ჰამარბი	2	0	2	0	0:0	2
ჰელსინგბორგი	3	0	2	1	3:4	2
ტრელებორგი	3	0	2	1	2:3	2
ლანდსკრონა	3	0	2	1	1:2	2
სუნდსვალი	3	0	2	1	1:2	2
ელფსბორგი	3	0	0	3	2:10	0

სუპერეტა. I ტური

გაის — ბრაგე 1:1; კაფე ოპერა — ატვიდაბერგი 1:1; გეფლე — ფრისკა 2:0; ფალკენბერგი — ბრომაპოიკარნა 0:2; ნორჩიოპინგი — ბოდენი 2:1; ოსტერი — ჰაკენი 0:3; ვასტერასი — ასირისკა 3:2; ფრიოლუნდა — ენკიოპინგი 1:1

სლოვენია

სი მობილ ლიგა. XXV ტური

პრიმორიე — კოპერი 3:0; ოლიმპია — მურა 2:1; მარიბორი — ნოვა გორიცა 1:2; დომზალე — ცელიე 2:2; შმარტნო — პტუი 3:0; ლიუბლიანა — დრავოგრადი 2:1

ნორვეგია

ტიპელიგა. II ტური

ბოდიო გლიმტი — ოდ გრენლანდი 0:2; ჰამ კამი — ტრომსიო 1:1; სტაბეკი — სოგნდალი 3:1; ბრანი — მიოლდე 3:0; ფრედრიკსტადი — ლუსენბორგი 0:2; ლინი — ვოლერენგა 1:1

ოდ გრენლანდი	2	2	0	0	4:0	6
რუსენბორგი	2	2	0	0	3:0	6
ტრომსიო	2	1	1	0	5:1	4
ვოლერენგა	2	1	1	0	2:1	4
ბრანი	2	1	0	1	3:1	3
ლილესტრიომი	1	1	0	0	2:0	3
სტაბეკი	2	1	0	1	3:3	3
მოლდე	2	1	0	1	2:3	3
ჰამ კამი	2	0	2	0	2:2	2
სოგნდალი	2	0	1	1	2:4	1
ლინი	2	0	1	1	1:3	1
ბოდიო გლიმტი	2	0	0	2	0:3	0
ფრედრიკსტადი	2	0	0	2	0:4	0
ვიკინგი	1	0	0	1	0:4	0

I დივიზიონი. II ტური

ჰაუგესუნდი — მოსი 2:4; ჰიოდი — ბრინი 0:0; მანდალი — სტარტი 1:4; პორს გრენლანდი — ჰიონეფოსი 4:3; რაუფოსი — ვარდ ჰაუგესუნდი 0:1; სკეიდი — ალესუნდი 4:1; სტრომსგოდსეტი — კონგსვინგერი 1:1; ტრომსდალენი — სანდეფიორდი 1:2

მექსიკა

კლაუსურა. XV ტური

ტოლუკა — მონტერეი 2:0; გვადალახარა — ტეკოსი 3:1; მორელია — სან ლუისი 2:1; ნეკაქსა — ვერაკრუსი 1:0; პაჩუკა — სანტოს ლაგუნა 2:2; უნამი — ირაპუატო 0:0; კერეტარო — ატლასი 1:0; პუებლა — კრუს ასული 3:2; ხაგუარესი — ატლანტე 2:1. ტიგრესი — ამერიკა წუხელ გვიან დამთავრდა

სარბიელი & კროკო

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
ინგლისი. პრემიერლიგა. XXXI ტური								
20 აპრილი								
24.00	005	მანჩესტერი-ჩარლტონი	1,35	4,0	8,0	1	1,15	2,66
ინგლისი. I დივიზიონი. XXXVIII ტური								
20 აპრილი								
23.45	051	ბარნლი-უიმბლდონი	1,35	3,8	6,0	1	1,1	2,32
ინგლისი. I დივიზიონი. XXXX ტური								
20 აპრილი								
23.45	052	მილუოლი-უოტფორდი	1,5	3,6	6,0	1,05	1,2	2,25
21 აპრილი								
24.00	053	კრისტალ პალასი-სანდერლენდი	2,35	3,2	2,7	1,35	1,25	1,46
ინგლისი. II დივიზიონი. XXXIV ტური								
20 აპრილი								
23.45	069	ლუტონი-ბორნმუთი	1,9	3,3	3,4	1,2	1,21	1,67
23.45	070	ოლდემი-რექსემი	1,6	3,4	4,4	1,08	1,17	1,91
ინგლისი. III დივიზიონი. XXXVIII ტური								
20 აპრილი								
23.45	086	ნორთჰემპტონი-ჰადერსფილდი	2,3	3,2	2,8	1,33	1,26	1,49
23.45	087	საუთენდი-ჰალი	3,4	3,2	1,95	1,64	1,23	1,21
23.45	088	იორკი-იოვილი	2,6	3,4	2,2	1,47	1,19	1,33
ინგლისი. კონფერენსი. XXXVI ტური								
20 აპრილი								
23.45	104	შრიუსბერი-ვრეივსენდი	1,5	3,2	6,5	1,02	1,21	2,14
ინგლისი. კონფერენსი. XXXVIII ტური								
21 აპრილი								
23.45	105	ნორთვიჩი-ტელფორდი	3,0	3,3	2,0	1,57	1,2	1,24
შოტლანდია. პრემიერლიგა. XXXII ტური								
21 აპრილი								
23.45	120	სელტიკი-აბერდინი	1,17	5,6	9,0	1	1,03	3,45
იტალია. სერია A. XXVI ტური								
21 აპრილი								
21.00	006	ლაციო-რომა	2,8	3,0	2,45	1,44	1,3	1,34
ავსტრია. I დივიზიონი. XXIII ტური								
20 აპრილი								
22.00	321	ბლაიბერგი-ტიროლი	4,6	3,4	1,55	1,95	1,15	1,06
22.00	322	ვიორგლი-უნტერზიბენბრიუნი	2,6	3,2	2,35	1,43	1,23	1,35
შვეიცარია. ჩემპიონატი. გადადებული მატჩი								
21 აპრილი								
22.30	337	შო დე ფონი-ანიო	3,1	3,1	2,1	1,55	1,25	1,25
შვედეთი. ალსვენსკა. III ტური								
20 აპრილი								
22.00	364	კალმარი-ჰამარბი	3,1	3,2	2,1	1,57	1,25	1,26
შვედეთი. ალსვენსკა. IV ტური								
22 აპრილი								
22.00	365	იორგრიტე-აიკ	2,3	3,2	2,8	1,33	1,26	1,49

			1	X	2	1-X	1-2	X-2
ირლანდია. პრემიერლიგა. VIII ტური								
22 აპრილი								
23.45	402	დუბლინი-ბოჰემიანი	6,0	3,5	1,5	2,21	1,2	1,04
23 აპრილი								
23.30	403	უოტერფორდი-შელბურნი	3,5	3,2	1,9	1,67	1,23	1,19
23.45	404	კორკი-დროგედა	1,65	3,3	4,8	1,1	1,22	1,95
23.45	405	სტ.პატრიკსი-შემროკი	2,35	3,1	2,7	1,33	1,25	1,44
24 აპრილი								
23.30	406	ლონგფორდი-დერი	1,75	3,2	4,2	1,13	1,23	1,81
თურქეთი. სუპერლიგა. XXIX ტური								
21 აპრილი								
20.00	418	სამსუნი-კონია	1,8	3,2	3,8	1,15	1,22	1,73
ხორვატია								
1.HNL. XXVII ტური								
21 აპრილი								
19.30	476	რიეკა-ზადარი	1,4	3,8	6,0	1,02	1,13	2,32
21.00	480	ოსიეკი-დინამო	4,2	3,2	1,75	1,81	1,23	1,13
21.00	481	ვარტეკსი-ჰაიდუკი	4,2	3,2	1,75	1,81	1,23	1,13
უნგრეთი. NB1. XXV ტური								
21 აპრილი								
21.00	506	ფერენცვაროში-ბალატონი	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19
22.00	507	დებრეცენი-მტკ	2,1	3,1	3,2	1,25	1,26	1,57
22.00	508	უიპეშტი-სოპრონი	1,65	3,3	4,6	1,1	1,21	1,92
22.00	509	პეჩი-ჰალადაში	1,55	3,4	4,4	1,06	1,14	1,91
22.00	510	ეტო-ბეკეშჩაბა	1,8	3,2	3,8	1,15	1,22	1,73
22.00	511	ზალაეგერსეგი-ვიდეოტონი	1,95	2,9	3,8	1,16	1,28	1,64
ბრაზილია. I ტური								
21 აპრილი								
24.00	513	ბოტაფოგო-გოიასი	2,0	3,1	3,4	1,21	1,25	1,62
24.00	514	ფიგეირენსე-ინტერნასიონალი	2,1	3,2	3,1	1,26	1,25	1,57
24.00	515	სან კაეტანო-ბაია	1,55	3,4	5,6	1,06	1,21	2,11
02.00	516	პალმეირასი-ატლეტიკო მნ	2,05	3,1	3,3	1,23	1,26	1,59
02.00	517	კრუზეირო-ჟუვენტუდი	1,3	4,2	8,0	1	1,11	2,75
05.45	518	პონტე პრეტა-კორინთიანსი	2,0	3,0	3,5	1,2	1,27	1,61
05.45	519	პარანა-სანტოსი	2,7	3,1	2,35	1,44	1,25	1,33
05.45	520	გრემიო-ფლამენგო	2,05	3,1	3,3	1,23	1,26	1,59
22 აპრილი								
04.30	521	კურიტიბა-გუარანი	1,6	3,4	5,0	1,08	1,21	2,02
04.30	522	ჰაისანდუ-ფლუმინენსე	1,85	3,2	3,6	1,17	1,22	1,69
04.30	523	სან პაულუ-ატლეტიკო პრ	1,5	3,5	6,0	1,04	1,2	2,21
04.30	524	ვასკუ და გამა-კრიციუმა	1,65	3,4	4,6	1,11	1,21	1,95
შოტლანდია								
თასი. 1/2 ფინალი								
20 აპრილი								
23.45	607	დანფერმლაინი-ინვერნესი	1,85	3,2	3,6	1,17	1,22	1,69

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ავსტრია. თასი. 1/4 ფინალი						
		20 აპრილი						
22.00	608	რიდი-კერნტენი	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46
		21 აპრილი						
22.00	609	რაპიდი-გრაცერი	2,4	3,2	2,6	1,37	1,24	1,43
		დანია. თასი. 1/4 ფინალი						
		21 აპრილი						
22.00	610	კოპენჰაგენი-ოდენსე	1,75	3,3	4,2	1,14	1,23	1,84
22.00	611	ბრიონდბიუ-ოლბორგი	1,6	3,5	5,0	1,09	1,21	2,05
		უკრაინა. თასი						
		1/2 ფინალი. II მატჩები						
		21 აპრილი						
16.00	615	დინამო-დნეპრო	1,4	3,8	7,0	1,02	1,16	2,46
16.00	616	შახტარი-ჩერნომორეცი	1,35	4,2	7,0	1,02	1,13	2,62
		ჩემპიონთა ლიგა						
		1/2 ფინალი. I მატჩები						
		20 აპრილი						
23.45	001	მონაკო-ჩელსი	2,45	3,2	2,6	1,38	1,26	1,43
		21 აპრილი						
23.45	002	პორტუ-დეპორტივო	2,25	3,1	3,1	1,3	1,3	1,55

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		უეფას თასი. 1/2 ფინალი. I მატჩები						
		22 აპრილი						
23.45	003	ნიუკასლი-მარსელი	1,8	3,2	4,2	1,15	1,26	1,81
01.00	004	ვილიარეალი-ვალენსია	2,6	3,0	2,6	1,39	1,3	1,39
		შემდეგ ეტაპზე გასვლა						
		20 აპრილი						
23.45	001	მონაკო-ჩელსი	2,4	1,4				
		21 აპრილი						
23.45	002	პორტუ-დეპორტივო	2,1	1,55				
		22 აპრილი						
23.45	003	ნიუკასლი-მარსელი	1,55	2,1				
01.00	004	ვილიარეალი-ვალენსია	2,6	1,35				
		ჰოკეი. NHL						
		20 აპრილი						
04.00	1002	ტორონტო-ოტავა	1,95	3,5	3,0	1,25	1,18	1,61
		კალათბურთი. NBA						
		20 აპრილი						
05.00	1151	ნიუ ჯერსი-ნიუ იორკი	1,2	10,0	3,5	1,07	1	2,59
05.30	1152	ინდიანა-ბოსტონი	1,1	10,0	5,0	1	1	3,33
07.30	1153	საკრამენტო-დალასი	1,3	10,0	2,8	1,15	1	2,18

რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

5201	მონაკო-ჩელსი	1,65	1,95
5202	პორტუ-დეპორტივო	1,65	1,95
5203	ნიუკასლი-მარსელი	1,65	1,95
5204	ვილიარეალი-ვალენსია	1,65	1,95
5205	მანჩესტერი-ჩარლტონი	2,0	1,6
5206	ლაციო-რომა	1,8	1,8

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

5401	მონაკო-ჩელსი	1,85	1,95
5402	პორტუ-დეპორტივო	1,8	2,0
5403	ნიუკასლი-მარსელი	1,6	2,4
5404	ვილიარეალი-ვალენსია	1,9	1,9
5405	მანჩესტერი-ჩარლტონი	1,25	3,6
5406	ლაციო-რომა	1,95	1,85

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
5301	მონაკო-ჩელსი	1,65	1,95
5302	პორტუ-დეპორტივო	1,65	1,95
5303	ნიუკასლი-მარსელი	1,65	1,95
5304	ვილიარეალი-ვალენსია	1,65	1,95
5305	მანჩესტერი-ჩარლტონი	1,75	1,85
5306	ლაციო-რომა	1,55	2,1

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
5501	მონაკო-ჩელსი	3,0	2,8	2,0
5502	პორტუ-დეპორტივო	3,0	2,8	2,0
5503	ნიუკასლი-მარსელი	3,0	2,8	2,0
5504	ვილიარეალი-ვალენსია	3,0	2,8	2,0
5505	მანჩესტერი-ჩარლტონი	3,0	2,8	2,0
5506	ლაციო-რომა	3,0	2,8	2,0

I ტაიმის შედეგი

5001	მონაკო-ჩელსი	2.9	2.05	3.4	1.2	1.56	1,27
5002	პორტუ-დეპორტივო	2.7	2.05	3.6	1.16	1.54	1.3
5003	ნიუკასლი-მარსელი	2.3	2.1	4.6	1,09	1,53	1,44
5004	ვილიარეალი-ვალენსია	3.2	2.05	3.1	1.24	1,57	1.23
5005	მანჩესტერი-ჩარლტონი	1.6	2.7	7.0	1	1.3	1,94
5006	ლაციო-რომა	3.5	2.0	2.8	1.27	1,55	1.16

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
5101	მონაკო-ჩელსი	3,6	10,0	20,0	4,6	4,4	4,8	20,0	10,0	3,8
5102	პორტუ-დეპორტივო	3,4	10,0	20,0	4,4	4,4	5,0	20,0	10,0	4,6
5103	ნიუკასლი-მარსელი	2,6	10,0	20,0	3,6	4,4	7,0	20,0	10,0	6,5
5104	ვილიარეალი-ვალენსია	3,8	10,0	20,0	4,6	4,4	4,6	20,0	10,0	3,8
5105	მანჩესტერი-ჩარლტონი	1,7	12,0	25,0	3,4	4,8	12,0	20,0	12,0	12,0
5106	ლაციო-რომა	4,2	10,0	20,0	4,8	4,4	4,4	20,0	10,0	3,6

ფორმულა 1. სან მარინო. 25 აპრილი

8001 გამარჯვებული		სამეული	ექვსეული	8002 უსწრ. წრე
მ.შუმახერი	1,5	8101 — 1,1	8201 — 1,05	1,7
მონტოია	5,0	8102 — 1,6	8202 — 1,2	3,3
რ.შუმახერი	8,0	8103 — 2,1	8203 — 1,25	5,0
რაიკონენი	12,0	8104 — 2,3	8204 — 1,3	8,0
ბარიკელო	5,0	8105 — 1,9	8205 — 1,2	3,0
ალონსო	12,0	8106 — 2,3	8206 — 1,3	8,0
კულტჰარდი	25,0	8107 — 3,8	8207 — 1,5	12,0
ტრული	25,0	8108 — 4,2	8208 — 1,5	15,0
ბატონი	15,0	8109 — 3,5	8209 — 1,5	10,0
სატო	50,0	8110 — 10,0	8210 — 2,0	35,0
პანისი	100,0	8111 — 20,0	8211 — 3,0	75,0
უებერი	75,0	8112 — 15,0	8212 — 2,0	50,0
და მატა	150,0	8113 — 30,0	8213 — 5,0	75,0
ფიზიკელა	150,0	8114 — 30,0	8214 — 5,0	75,0
ჰაიდფელდი	150,0	8115 — 30,0	8215 — 5,0	75,0
მასა	150,0	8116 — 30,0	8216 — 5,0	75,0
კლიენი	150,0	8117 — 30,0	8217 — 5,0	100,0
პანტანო	250,0	8118 — 50,0	8218 — 6,0	100,0
ბრუნი	300,0	8119 — 75,0	8219 — 10,0	100,0
ბაუმგარტნერი	300,0	8120 — 75,0	8220 — 10,0	100,0

8301 გამარჯვებული გუნდი	
ფერარი	1,15
უილიამსი	3,0
მაკლარენი	8,1
რენო	8,1
ბარ	11,5
ტოიოტა	60,0
იაგუარი	50,0
ზაუბერი	75,0
ჯორდანი	93,0
მინარდი	150,0

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

ზოგჯერ წაგებაც საქმეა

პოლიტიკამ კალათბურთშიც აურია

კვირას მე-13 ეროვნული პირველობის რეგულარული ჩემპიონატი დასრულდა და მომავალ შაბათს უკვე პლეი ოფიც გახურდება...

თუ ადრე საუკეთესო ექვსეულის „მინი-ტურნირიც“ არსებობდა, უკვე მეორე წელია, რეგულარულ ჩემპიონატს პირდაპირ პლეი ოფი მოსდევს. ამ ცვლილებით რა შეემატა ეროვნულს, ძნელია სათქმელია.

საერთოდ, შემატებაზე და დადებით მოვლენებზე ლაპარაკი ძნელია, როცა ისევ იმ უფერულ და ჟინგამოცლილ მატჩებს უყურებ. თუ დონესა და ქომაგთა აქტივობას მოვიკითხავთ, ეს ჩემპიონატი ვინძლო უწინდელებზე უარე სადაც ჩაითვალოს, თუმცა ამ პირველობის დადებითი მხარე მისი ორგანიზატორების ორგანიზებულობა და უკეთესობისკენ სწრაფვაა. ფედერაციის ხელმძღვანელობა ცდილობს, მრავალგვარ სასიკეთო ღონისძიებებსაც დაუდოს სათავე, მაგრამ ამ მიმოხილვის საგანს, ეროვნულ ჩემპიონატს ამით „ვაგლახ“ რომ ჯერ არაფერი შემატებია.

ქართული კალათბურთი იმდენად ჩამორჩება ევროპულს, რომ დღეს გაკეთებული სასიკეთო საქმის ნაყოფს შორს, მომავალში უნდა ველოდოთ, მანამდე კი ისევ ისეთ დუნე მატჩებს უნდა ვუცქიროთ, ქართული კლუბები რომ გვთავაზობენ ვერის ბაღში.

მე-13 ეროვნული ჩვეუბერივ ერთფეროვნებით დაიწყო. კვლავაც არსებობს ხევი, რომლის ერთ ნაპირზე საჩემპიონო ამბიციის მქონე გუნდები დგანან და მეორეს მხარეს სტატისტები. თუმცა შემდეგ ისე დატრიალდა საქმე, რომ ზოგმა უსახსრობის, ზოგმა უშედეგობის, ზოგმაც პოლიტიკური კატაკლიზმების გამო დაკარგა ის ამბიცია, რომელიც დასაწყისში ჰქონდა.

საზოგადოდ მე-13 ეროვნული წინა თორმეტზე „პოლიტიზირებული“ გამოდგა. სახელმწიფო მოხელეთა მიზეზით ორ წამყვან გუნდს სერიოზული პრობლემები შეექმნა. რაღა შორს წავიდეთ, აგერ, მარტის თვეში სამგზის ჩემპიონსა და წლევანდელი რეგულარულის გამარჯვებულ ბათუმის „ბასკოს“ ის ფინანსური სახსარი გამოეცალა, აჭარის უშიშროების სამინისტროდან რომ მოდიოდა და რომელიც ცენტრსა და რეგიონს შორის გართულებულმა ურთიერთობებმა იმსხვერპლა.

ბათუმელთა დარად, რუსთაველებსაც ფინანსური პრობლემები შეექმნათ, მაგრამ თუ „ბასკომ“, რაც იქნება იქნებაო, ჩემპიონატის უხელფასოდ ჩამთავრება გადაწყვიტა, ქვემოქართლელებს ქვა აღმართში სეზონის დასაწყისში დაეწიათ და გუნდის წამყვანი მოთამაშეებიც ველარ შეინარჩუნეს. მთლად პოლიტიკას ვერ დაბრალდება „რუსთავული ვარამი“, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ქვემოქართლელთა ზოგიერთი სპონსორის უფროსს „ჩვენსა“ აღარ დაედგომებოდა და შესაბამისად, აღარც საკალათბურთო გუნდის დაფინანსებისთვის სცხელოდა. თითქმის დაიშალა კიდევ ერთი გუნდი, თუმცა „ქუთაისიდან“ ძირითადი ბირთვის წასვლა მხოლოდ დაუფინანსებლობით იყო გამოწვეული, აქ პოლიტიკა არაფერ შუაშია.

თუ ერთი გუნდიდან მიდიან, მეორე იმატებს და ჩვენც ამაზე შევჩერდეთ, თანაც მოთამაშეთა მიგრირება ამ ჩემპიონატის მსვლელობისას ერთობ თვალში საცემი მოვლენა გახლდათ.

სადაც ხეირიანი უკლუბო მოთამაშე გაჭაჭანდება, იქაა ქართული საზომით უმსხვილესი ბიუჯეტის მქონე „დინამოც“. თავი დავანებოთ, რომ ზაფხულში დრაჟენ ბრაიკოვიჩმა სანაკრებო შეკრებაზე თავის ნებაზე შეარჩია „დინამოს“ შემადგენლობა. მოგვიანებით, გახურებული სეზონის დროს, ხორვატმა მწვრთნელმა უფულო „რუსთავიდან“ ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე ბასრი და შედეგიანი მოთამაშე რამაზ გოგობერიშვილი გადაიყვანა, თსუ-ს კი ვალერი კილაძე დასტყუა.

გახლეჩილი „რუსთავიდან“ სტუ-საც ერგო წილი (ირაკლი ჯაფარიძე) და თსუ-საც (მამუკა აბრამიძე), ყველაზე „სუფთად“ კი თავი ბათუმის „ბასკომ“ შეინახა, რომელიც იმ შემადგენლობით აგრძელებს თამაშს, სეზონისწინა პერიოდში რომ შეარჩია.

რაკი შერჩევა ვახსენეთ, მოდით, გუნდებს მათი დაკომპლექტების ნიშნით გადავხედოთ, რაშიც თამაშის ხარისხიც და შედეგიანობაც თავისთავად იგულისხმება.

ვთქვით, „დინამოს“ ბირთვი საგანგებო სანაკრებო ვარჯიშებზე შეირჩაო, მაგრამ ბრაიკოვიჩის გუნდს ცენტრის პრობლემა ახლაც აწუხებს. ხორვატმა ვიღაც თანამემამულე დარიო ლივაიჩი ჩამოიყვანა, რომელიც ქუთაისელ ცენტრებს ვერ ჯობდა და საჩემპიონო გუნდისთვის როგორ გამოდგებოდა?! სეზონის მსვლელობისას კი ბრაიკოვიჩმა კიდევ ორი მეფარე — კილაძე და სოხუმელი ვანო აბულაძე შეიმატა, თუმცა ბასკოელი დავით ბერძენიშვილი დღემდე უდრტვინველად გრძნობს თავს „დინამოს“ სამწამიანში.

ცალკე თემაა თსუ, რომელმაც სეზონის დასაწყისში „კოკა-კოლა“ მოთაფლა და თემურ ჭყონიას ფულით ყველა უგუნდოდ მყოფი ღირსეული მოთამაშე შემოიკრიბა. სტუდენტების შემადგენლობას იმთავითვე ვუწოდეთ საჩემპიონო და ამ შეფასების არც დღეს მოგვერიდება, თუმცა ძლიერი შემადგენლობა რომ კარგი შედეგის მიღწევას არ ნიშნავს, ცხრილში „დინამოს“ მეორე ადგილიც მოწმობს.

„ბასკომ“ ჩემპიონატში იმიტომ მოუგო ბრაიკოვიჩის „ევროპულ ყაიდაზე გარდაქმნილ“ გუნდს ზედიზედ სამი თამაში, რომ ნუგზარ კანდელაკს სათამაშო პოზიციების ნიშნით ჰყავს მოთამაშეები შერჩეული და მათ გასაგებ, ქართული კალათბურთის ენით ელაპარაკება. ბრაიკოვიჩს კი ნათქვამი აქვს, მე ევროპული კალათბურთის სპეციალისტი ვარ და მის პრინციპებს, თუგინდ სულ ყველამ მომიგოს, ვერ ვუღალატებო. კი ბატონო, მაგრამ „დინამო“ დღეს ნაღდად ვერ თამაშობს იმ კალათბურთთან ოდნავ მიახლოვებულ თამაშსაც კი, ბებერი კონტინენტის საშუალო დონის ტურნირს რომ გასწვდება.

ევროპას თავი დავანებოთ და ჩვენს ბეჩავ ჩემპიონატს მივხედოთ, რომელსაც დაახლოებით ერთ თვეში ახალი ჩემპიონი ეყოლება, თუმცა საქმეს ისეთი პირი უჩანს, ის ახალი სულაც არ იქნება.

რეალურად დღეს სამი საჩემპიონო გუნდია, „დინამო“, „ბასკო“ და „სტუ-ჯეოსელი“, თუმცა თსუ-საც ძალუძს ოქროსთვის გაფართხალება. ახლა, როცა „ბასკოს“ ხელიდან ყველაზე დიდი უპირატესობა, შინაური სარბიელი გამოეცალა, ნუგზარ კანდელაკის უხელფასო გუნდის ჩემპიონობა სასწაულის ტოლფასიც კი იქნება. თანაც ჩემპიონის გამოცვლა ხელს არ უნდა აძლევდეს ფედერაციას, რაკი მოახლოვებული სანაკრებო ციებ-ცხელების ჟამს ეროვნული გუნდის თავკაცის საკლუბო დონეზე ჩაფლავება კიდევ უფრო დასცემს „ბასკოსთან“ წაგებულ და სტუ-სთან ნაჭიდავები ბრაიკოვიჩის პრესტიჟს.

სტუდენტურ გუნდებს რომ ჰკითხო, „ბასკო“ ბათუმიდან წამოსვლით გვარიანად დასუსტებულა. ჰოდა, სტუ-მ და თსუ-მ პლეი ოფის ნახევარფინალში მასთან შესახვედრად რეგულარულის ბოლო მატჩებში ერთგვარი შეჯიბრი მოაწყვეს წაგებებში, რომელშიც ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა იმარჯვა. საქართველოს ჩემპიონატი აქამდე დაბალი დონისა იყო, წლეულს კი გამოჩნდა, რომ ის დაბალი კულტურისაც ყოფილა. თამაშების ასეთი ურცხვი დათმობა და მიზნის მისაღწევად მატჩზე განზრახ გამოუცხადებლობა აქამდელ არც ერთ ჩემპიონატს არ ახსოვს.

ასეა თუ ისე, მე-13 ეროვნულმა რეგულარული ჩემპიონატი უკან მოიტოვა და მომავალი შაბათიდან [illegible] შეუყვება. თუმცა მეოთხედფინალურ მატჩებში საინტერესოს [illegible] ვერაფერს ნახავს ქომაგი. „დინამო“ ვარჯიშვარჯიშ გაივლის სოხუმურ ბარიერს, „ბასკო“ ქუთაისელებს გადათელავს, თსუ კი „მაკაბის“ აუგებს წესს. ერთადერთი წყვილი, რომელშიც ინტერესის ნაპერწკალი ღვივის, „რუსთავი“ — „სტუ-ჯეოსელია“. ტექნიკოსებმა „დინამოსთან“ ნახევარფინალში ასაცდენად ბოლო ტურებში იმდენი წააგეს, თსუ-სთან ერთად ქვემოქართლელებმაც გადაასწრეს და მეოთხედფინალში მოედნის უპირატესობასაც ოთარ ხმელიძის ახალგაზრდული გუნდი ფლობს.

ირაკლი პერტაია

გურამ დოლენჯაშვილის ფოტოები

დრაჟენ ბრაიკოვიჩი
„დინამო“

ნუგზარ კანდელაკი
„ბასკო“

ეროვნული ჩემპიონატის სიმბოლური ხუთეული სარბიელის ვერსია

არჩილ ქღენტი
„დინამო“



შიო ხეცურიანი
„სტუ-ჯეოსელი“



ვლადიმერ ბექანიშვილი
„დინამო“

ქოლივებ ტუჯანი
„ბასკო“



დავით ბერძენიშვილი
„ბასკო“

ეროვნული ბიბლიოთეკა

2004 NBA Playoffs

ლიფსიტების გუბეში ლორჯომებიც მოსჩანს

18 აპრილი

აღმოსავლეთი

დეტროიტი 1:0 მილუოკი

დეტროიტი 108:82 მილუოკი

დეტროიტი: ბილაფსი (12), ჰამილტონი (21), პრინსი (14 ქულა, 11 მოხსნა), რ. ვოლესი (17 ქულა, 10 მოხსნა), ბ. ვოლესი (17 ქულა, 14 მოხსნა); უილიამსონი (12), ოქური (8), ჰანტერი (3), ჯეიმსი (3), მილიჩიჩი (1), ჰემი, კემპბელი

მილუოკი: ჯონსი (7), რედი (11), მეისონი (16), სმიტი (6 ქულა, 11 მოხსნა), სკინერი (6); სტრიკლენდი (10), კუკოჩი (8), ვან ჰორნი (8), ნაითი (4), გაძურიჩი (4), ჰეისლიპი (2), სანტიაგო (2)

„დეტროიტმა" პირველივე მატჩში თავიდან ფეხებამდე გააშიშვლა „მილუოკი", რომელიც რეგულარულ ჩემპიონატში ასე უსუსური არ ჩანდა. პლეი ოფი არც მოუგონიათ ასეთი გუნდებისთვის და ცუდი ისაა, რომ „მილუოკი" ადგილს აცდენს პლეი ოფში. ხოლო ამაზე ცუდია, რომ „ბაქსი" არაერთ აღმოსავლელ მეპლეიოფეს სჯობს და აქეთა კონფერენციის მოწინავეებში მართლა გამორჩეულს ერთორს თუ გადააწყდება კალათბურთის გურმანი.

მაიამი 1:0 ნიუ ორლეანი

მაიამი 81:79 ნიუ ორლეანი

მაიამი: ვეიდი (21), ჯონსი (9), კ. ბატლერი (12), ოდომი (17 ქულა, 11 მოხსნა), გრანტი (2); ალსტონი (13), ჰეისლიპი (7), რ. ბატლერი, უოლკერი, ალენი

ნიუ ორლეანი: დევისი (17), ვესლი (14), ლინჩი (4), ბრაუნი (10 ქულა, 11 მოხსნა), მალუა (14 ქულა, 11 მოხსნა); ოგმონი (10), ვესტი (8), ტრეილორი (2), არმსტრონგი, უილიამსი, სმიტი

ამ ლიფსიტების გუბეში აღმოსავლეთ კონფერენციაში დიდა თევზის დაჭერაც შეიძლება. გუშინ გამოცოცხლებულმა „მაიამიმ" ხალხნაკლულ „ნიუ ორლეანს" მოუგო და მეორე წრეში გასვლის სურვილიც გაამჟღავნა.

„ჰითს" ახალბედა დუეინ ვეიდმა გაამარჯვა, რომელმაც „კრაზანების" ლიდერ ბაირონ დევისის ფეხის ტკივილით ისარგებლა და პირადი დუელი 21:17 მოუგო. რომ შეატყო, ამ ბიჭს დღეს ყველაფერი გამოუვაო, „მაიამის" მწვრთნელმა სტენ ვან განდიმ გადამწყვეტი ბურთის სროლა ვეიდს დაავალა და ამანაც იყოჩაღა. ბოლო წამებზე და 79:79 ანგარიშზე მან ბაირონ დევისის ჩამოტოვება შეძლო და ვეება ცენტრ ჯამაალ მალუას ხელებსზემოდან გადაატარა გამარჯვების ბურთი.

დასავლეთი

საკრამენტო 1:0 დალასი

საკრამენტო 116:105 დალასი

საკრამენტო: ბიბი (14), კრისტი (21 ქულა, 11 პასი, 8 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (28), ვებერი (26 ქულა, 12 მოხსნა), დივაცი (12); პილერი (11), მილერი (2), ვოლესი (2), სონგაილა, სმიტი, ბაფორდი

დალასი: ნეში (13), დანიელსი (13), ფინლი (9), ნოვიცკი (32 ქულა, 13 მოხსნა, 5 დაფარება), უოლკერი (9 ქულა, 10 მოხსნა); ჯემისონი (18), ჰოვარდი (11), ნახერა, ბრედლი

ასოციაციის ორ ყველაზე მარჯვედ შემტევი გუნდებს შორის ზედიზედ მესამე სერია „საკრამენტოს" გამარჯვებით დაიწყო. „საკრამენტომ" ცუდად ჩაამთავრა რეგულარული ჩემპიონატი. „მეფეებს" პირველ ნომრად განთესვა შეეძლოთ, მაგრამ იმდენი ქნეს, მეოთხე საფეხურამდე ჩამოვარდნენ და პირველ მეტოქედ უფრო ძლიერი შეხვდათ, ვიდრე სხვა ფავორიტებს. სიმართლე თქმული ჯობს და, „დალასთან" ჯახში „საკრამენტო" ვერცაა ფავორიტი.

პირველი გამარჯვება კი მაინც „მეფეებს" დარჩათ. რამდენიმე საფუძვლიანმა ვარჯიშმა და კლუბის გამგებელთაგან მხურვალე მიმართვებმა საკრმენტოელები შესამჩნევლად გამოაფხიზლა — პრედრაგ სტოიაკოვიჩმა 28 ქულა გაიღო, მგონი ბოლომდე მომჯობინებულმა კრის ვებერი 26-ს გამოვიდა და დაცვის სპეციალისტ დუგ კრისტისაც კი მოუგროვდა 21 ქულა. დალასელთაგან სხვებზე მეტად დირკ ნოვიცკი ბობოქრობდა, რომელსაც აშკარად მოუხდა თავდამსხმელის ამპლუაში დაბრუნება, მაგრამ მისი სამქულიანები „დალასს" ვერ ეყო.

მინესოტა 1:0 დენვერი

მინესოტა 106:91 დენვერი

მინესოტა: კასელი (40), ჰასელი (7), სპრიუელი (11), გარნეტი (30 ქულა, 20 მოხსნა), ჯონსონი (4); შჩერბიაკი (9), ოლოვოკანდი (4), მარტინი (1), მადსენი, ჰოიბერგი, ტრენტი, მილერი

დენვერი: მილერი (12), ლენარდი (7), ენტონი (19), ნენე (4), კემბი (19); ბოიკინსი (16), ბერი (9), ელსონი (6), ანდერსენი, ვაიტი, დოლიკი, ბოუენი

კარმელო ენტონიმ პირველი საპლეიოფო გამოცდა ნაწილობრივ ჩააბარა

„დენვერ ნაგიტსმა" უნიკაცქიტიშვილოდ და მარცხით დაიწყო 1995 წლის შემდეგ თავისი პირველი საპლეიოფო სერია და ალბათ ასევე დაასრულებს. „მინესოტა" ალბათ აისრულებს მეორე რაუნდში თამაშის სანუკვარ ოცნებას, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ პლეი ოფში მოგების გამოცდილება არა აქვს.

მაგრამ „მინესოტას" „დენვერთან" საწუწუნო მაინც არაფერი სჭირს, რაკი დენვერელთაგან თუ მარკუს კემბის და ვოშონ ლენარდს არ ჩავთვლით, პრაქტიკულად არავის აქვს პლეი ოფში თამაშის გამოცდილება. თუნდაც კარმელო ენტონი ავილოთ: ეს ჯადო ახალბედა მატჩის დასაწყისში ცოტა დაბნეული ჩანდა და ესეც მიზეზია, „მინესოტამ" ადრევე რომ წაართვა „დენვერს" უპირატესობა. მაგრამ ენტონი მეორე ტაიმში გამოფხიზლდა, ბურთების ჩაყრა იწყო და „დენვერმა" 18-ქულიანი ჩამორჩენა, ხუთამდე შეამცირა. „მინესოტამ" მატჩის სადავეები ბოლო წუთებში მკვიდრად უკუიპყრო და საიმედო სხვაობითაც იმარჯვა. ვეტერანმა გამთამაშებელმა სემ კასელმა „დენვერს" ბოლო 9 წუთში 12 ქულა ჩაუგდო, სულ კი 40 გაჩარხა და კარიერის რეკორდი გაიმეორა.

კოტე ყორშია

კინოლოგია

ძაღლთა სამოთხე მუხის ფოთოლში

ვაკის პარკში მდებარე კლუბ „მუხის ფოთლის" კორტებიდან მოქნეული ჩოგნის ზუზუნისა და პატარა, ყვითელი ბურთის ბათქა-ბუთქის გარდა წელიწადში ერთიორჯერ ძაღლების ყეფაც მოისმის.

ძაღლი ადამიანის მეგობარიაო, მაგრამ მეგობრობა ხომ ცალმხრივი არ არის. ჰოდა, ოთხფეხა მეგობრისთვის ზოგჯერ ამ საჩოგბურთო კორტებსაც იმეტებენ და შეჯიბრებებსაც უწყობენ.

ისე, აქ გამართული საქართველოს სასპორტო-სასამსახურო ძაღლების რესპუბლიკურ ღია ჩემპიონატები, რომლებიც გაზაფხულობით ტარდება, მშობლებთან ერთად მოსეირნე ბავშვებს უფრო იზიდავს, ვიდრე საჩოგბურთო დაპირისპირება.

სამწუხაროდ, ამ შაბათ-კვირას არც ბავშვებს გაუმართლა, არც მათ მშობლებს. შაბათს მომაბეზრებლად ძლიერი ქარი იყო, კვირას კი გულისგამაწვრილებლად ჟინჟლავდა. ამ „სტიქიური შემოტევისას" ჩვენს ოთხფეხა მეგობრებს მეტი რა გზა ჰქონდათ, ისინი უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ ადამიანთა ბრძანებებს: ღრენა-ბღლვინვით ხან „დამნაშავეს" იჭერდნენ, ხან „შეპყრობილთ" დარაჯობდნენ. იყო „მშვიდობიან" განკარგულებათა უსიტყვო შესრულებაც და ჯალათური გამოცდაც, როცა ძაღლს დიდი ცდუნებისთვის უნდა გაეძლო და გადაგდებული გემრიელი ძვლისთვის პირი არ დაეკარებინა...

ყოველივე ამას რომ ვუყურებდით, ვფიქრობდით, საქართველოს სხვადასხვა გუნდის წევრები მწვრთნელთა რჩევა-დარიგებებს ამ ოთხფეხებივით უსიტყვოდ და კარგად რომ ასრულებდნენ, მართლაც ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდაო.

ასე იყო თუ ისე, ამ ჩემპიონატის მონაწილე 16 ძაღლიდან ყველაზე უკეთ მომზადებული აღმოჩნდა არჩილ გოგელიას გერმანული ნაგაზი როკი ჟემონ დიკი, რომელსაც ვიტალი კამიშინსკი წვრთნის.

როკი ჟემონ დიკიმ აბსოლუტური ჩემპიონობა მოიპოვა და მეექვსედ დაიმსახურა ამგვარი წარმატება.

აბსოლუტური პირველობების გარდა ეს ნაგაზი ნიადაგ იმარჯვებს პროგრამით გათვალისწინებულ სხვადასხვა სახეობებში, რის შედეგადაც 25 მცირე ოქროს მედალიც დაუგროვდა. ასე რომ, როკი ჟემონ დიკის მოპოვებული მედლებისა და თასების მთელი კოლექცია დაუგროვდა.

„რაც შეეხება ამ ასპარეზობის პრიზებს, ისინი საკმაოდ იყო და ჩემმა მეგობრებმა დააწესეს — გვითხრა საქართველოს კინოლოგიური კავშირის პრეზიდენტმა გიორგი გახოკიძემ, რომელიც იმავდროულად „მუხის ფოთოლის" კლუბის პრეზიდენტიც გახლავთ — ესენი არიან: ირაკლი ქორიძე, გიორგი ასათიანი, გიორგი ცინცაძე და თემურ მალაშხია. ისინი სხვადასხვა ორგანიზაციებს ხელმძღვანელობენ. მაგალითად, გიორგი ასათიანი დაცული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობების დეპარტამენტის თავმჯდომარეა, გიორგი ცინცაძე — სამშენებლო ფირმა „განიმედ 98"-ის პრეზიდენტი თემურ მალაშხია — თბილისის მერიის სატრანსპორტო სამსახურის თანამშრომელი, მაგრამ მათ პრიზები თავიანთი ორგანიზაციების სახელით კი არა, პირადი ინიციატივით, ყოვლად უანგაროდ დააწესეს."

ავთანდილ ტყვიშელი

ჩემპიონი როკი ჟემონ დიკი და მისი პატრონი არჩილ გოგელია

უდიდესი რუსული ტოტალიზატორი «ფონი»

გიწვევთ სათანამშრომლოდ

გახსენით ტოტალიზატორი თქვენს ქალაქში

ცნობებისთვის დარეკეთ
+7 095 9045011; +7 095 9045018

ფსონები და კაზინო ინტერნეტში: www.fonbet.info



ზურაბ აზმაიფარაშვილი



ნანა ალექსანდრია

[illegible] ფოტოები

მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი ერთ თვეში ბათუმში უნდა გაიმართოს — ეს ფიდეს დონეზეა შეთანხმებული, მაგრამ ჯერ მაინც არაფერი გადაწყვეტილა. ხუთიოდ დღის წინ ასლან აბაშიძესა და ფიდეს პრეზიდენტ კირსან ილუმჟინოვს შორის გაფორმებული ხელშეკრულება სპორტისა და კულტურის მინისტრის გოკა გაბაშვილის ერთმა განცხადებამ გადაწონა. თოფიანი ხალხის სიმრავლითა და ადამიანის უფლებების დაუცველობით გამორჩეულ ქალაქში ასეთი რანგის ტურნირის ჩატარების წინააღმდეგ გაბაშვილმა ხმამაღლა და საერთაშორისო ორგანიზაციების გასაგონად გაილაშქრა

პოლიტჭადრაკი

მთავრობა მსოფლიოს ჩემპიონატის თბილისში გამომგზავრების გზას ეძებს

საჭადრაკო სამყარო მსოფლიოს ჩემპიონატის საქართველოში ჩატარებაზე უარის თქმამ შეაშფოთა. თუმცა აზრთა სხვადასხვაობა მათ შორისაცაა. ერთი ნაწილი ასლან აბაშიძის გარანტიებს აქედანვე მინდობია, მეორენი ტურნირის ბათუმიდან თბილისში გადმოტანას ითხოვენ. ამასობაში კი ის ვადაც ახლოვდება, ორგანიზატორებმა ჩემპიონატისთვის საჭირო ფინანსები საბანკო ანგარიშზე რომ უნდა დადონ. ფიდეს წესდებით (რომლის ქართული ვერსიაც, თურმე არ არსებობს), ეს პროცედურა ტურნირის დაწყებამდე ერთი თვით ადრე, 21 აპრილს უნდა მოხდეს.

ალბათ, ასეც იქნება. საორგანიზაციო კომიტეტი 573 ათას დოლარს საჭირო გზას გაუყენებს, მაგრამ თუ სახელმწიფოს პოზიცია არ შეიცვალა და ფიდეს მსოფლიოს ჩემპიონატის სხვა ქვეყანაში გადატანა დასჭირდა, ანგარიშზე დადებული თანხის ნახევარი მის საკუთრებაში გადავა და ეს სანქცია ერთადერთი შეიძლება არც იყოს.

პრობლემის მოსაგვარებელი გზების საძებნად გუშინ ჭადრაკის ფედერაციაში გამგეობა შეიკრიბა და სამ საათზე მეტხანს დახურულ კარს მიღმა იმსჯელა. ჭადრაკში მოტრიალე ხალხის ნააზრევი ჟურნალისტთათვის გასაგები მხოლოდ სხდომის დასრულების შემდეგ გახდა. მანამდე კი ოთახიდან გამოსული თითო-ოროლა დამსწრის ნაამბობით ხდებოდა შიდა სამზარეულოს შესწავლა. ერთ-ერთი მათგანი აჭარის წარმომადგენელი ჰამლეტ ჭიპაშვილი იყო, რომელმაც ბათუმში შეიარაღებული ხალხის არსებობა კატეგორიულად უარყო და უსაფრთხოების გარანტიებზეც ხმამაღლა ისაუბრა.

სხდომის დასრულების შემდეგ ქართული ჭადრაკის თავკაცებმა და ცნობილმა სახეებმა საპრესკონფერენციო დარბაზში გადაინაცვლეს. ყველა გამომსვლელის სიტყვა ერთმანეთს ჰგავდა. ასეთი დონის ტურნირი ხელიდან არ უნდა გავუშვათო, თუმც ჩემპიონატის ბათუმში ჩატარებას მოჭადრაკეებიც ჰყავდათ მოწინააღმდეგეები.

„ჩემი პერსონალური უარი დღეს აჭარაში არსებული სიტუაციიდან გამომდინარეობს — განაცხადა ნანა ალექსანდრიამ — ამ სიტყვებს რომ ვამბობ, როგორც მოჭადრაკეს, გული მტკივა, მაგრამ ტერიტორიაზე, რომელიც სახელმწიფოს არ ემორჩილება და სადაც ადამიანის უფლებები დაუცველია, ასეთი რისკის გაწევა მიუღებლად მიმაჩნია. ვთხოვ ხელისუფლებას, იქნებ გამოინახოს სახსრები მის თბილისში გადმოსატანად.“

ნანა ალექსანდრია ნონა გაფრინდაშვილთან, ნანა იოსელიანთან, ზურაბ აზმაიფარაშვილთან და ჭადრაკს ფედერაციის დროებით თავკაცთან კახა ჩიგოგიძესთან ერთად გამგეობამ იმ მობილურ ჯგუფში შეიყვანა, რომელიც გუშინ საღამოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას შეხვდა ტურნირის გადასარჩენად. მხარეებმა საბოლოო შეთანხმებას ჯერ ვერ მიაღწიეს. როგორც შევიტყვეთ, მოლაპარაკება კვლავ გაგრძელდება და მალე ალბათ კირსან ილუმჟინოვი ერთხელაც ეწვევა საქართველოს. ტურნირი კი შეიძლება თბილისში გადმოიტანონ.

ფიდეს ქართველი ვიცე-პრეზიდენტი ზურაბ აზმაიფარაშვილი სახელმწიფოს პოზიციამ რომ გაანაწყენა, ჯერ კიდევ წინა კვირაში გახდა ცნობილი. გუშინ კი თავისი არგუმენტები ერთხელაც გამოამზეურა:

— სამწუხაროდ, აქამდე ყველა ჩემი მცდელობა შევხვედროდი მთავრობის წარმომადგენლებს უშედეგოდ დასრულდა. ვერ ვიგრძენი მთავრობის ნება, რომ ტურნირი საქართველოში გამართულიყო. საჭირო ფინანსების არარსებობას იმიზეზებდნენ, ხოლო როდესაც აჭარამ გამოთქვა მზადყოფნა, შემდეგ ამაზეც უარი გვითხრეს. ფიდეს პრეზიდენ ილუმჟინოვის ბათუმში ყოფნისას იქ ჩამოსვლაც კი არ ისურვეს.

— გაქვთ იმედი, რომ პრემიერ-მინისტრთან შეხვედრა სასურველ შედეგს გამოიღებს?

— რა თქმა უნდა, მაგრამ თუ ვერ დავარწმუნეთ, ამით საქართველო დარჩება წაგებული.

— ფიდეს პოზიცია როგორია?

— საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან მიღებულმა წერილმა ილუმჟინოვიც ააფორიაქა. იგი თვლის, რომ არავითარი კრიმინალური მდგომარეობა არ არსებობს. ალბათ, ამაში დასარწმუნებლად ერთხელაც გამოაგზავნის ექსპერტებს.

— თუ მაინც არ მოხერხდა ჩემპიონატის მასპინძლობა, რა სანქციებს უნდა ველოდოთ?

— საორგანიზაციო ხარჯების 50 პროცენტით დაგვაჯარიმებენ, ამასთან მორალურ სასჯელსაც ვერ ავცდებით.

— იქნებ ჯობდეს, ფიდეს თარიღის გადაწევა ვთხოვოთ?

— ეს გამორიცხულია. მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის მსურველი არცთუ ცოტაა და მაშინ მათ დააკმაყოფილებენ.

ოთარ მაღლაკელიძე

ესეც თქვენ, ავისმჩხრეკელნო!

ვინუსმა კორტზე შიში დააბრუნა

ეშტორილის ღია პირველობა
თიხნარი
საპრიზო 520 ათასი $

ფინალი

ხუან იგნასიო ჩელა (5, არგენტინა) — მარატ საფინი (8, რუსეთი) 6:7 (2:7), 6:3, 6:3

წლევანდელი ეშტორილობა 24 წლის ხუან იგნასიო ჩელასთვის დასტურ წარმატებული გამოდგა — მან წყვილთა შეჯიბრშიც იმარჯვა და კენტად მოჩოგნავეთაშიც. ამგვარი რამ წლეულს ჯერ არავის მოჰხერხებოდა, ხოლო საკუთრივ ეშტორილურ თიხნარზე ერთ კვირაში ორი ტიტული ბოლოჯერ ემილიო სანჩესმა მიითვალა 1990-ში.

ჩელას ეგოდენ წარმატებას მაინცდამაინც არც არავინ ელოდა, მით უფრო იმის გამო, რომ მარატ საფინთან აქამდე სამჯერ გადაყრილს სამჯერვე ჩაეფლავა. მაგრამ მართლაც ქარის ბრალი იყო — როგორც ამას ნამატჩევს ჩელა ამბობდა — თუ უბრალოდ იმისა, რომ ტრავმიანობით გატანჯული რუსი გამარჯვებებს გაეჩვია, ჩელამ ფინალი დამაჯერებლად მოიგო. ის მთელი შეხვედრის განმავლობაში უფრო სტაბილურად ირჯებოდა და ჩანდა, მოსაგებადაც მეტი ჰქონდა ნაფიქრი და ნაფიქრის განსახორციელებლადაც — მეტი ძალა. საფინი ხავსს მატჩპოინტზე მოეჭიდა და სამი სატიტულე ბურთიც მოიგერია, მაგრად საბოლოოდ ისევ თავადვე მიჰქარა.

შეგახსენებთ, რომ რუსთა მთავარდათვს მთელი შარშანდელი სეზონი მაჯის ტრავმის გამო წაემურდლა და განსაკუთრებით სალად ის ვერც წლეულს გამოიყურება. იმის მიუხედავად, რომ სეზონი ჯიქურ დაიწყო და ავსტრალიის ღია პირველობის ფინალსაც შთამბეჭდავად უწია, ამ სამთვენახევარში მას სულ 19 მატჩი დაუგროვდა და აქედანაც შვიდი მარცხიანი გახლავთ.

რაც შეეხება ჩელას, რაგინდარა ტურნირის ფინალში მას 2002 წლის ლონგაილენდობის შემდეგ აღარ ეთამაშა. საფინის ძლევით მან კარიერის მესამე ტიტული და 86 531 ათასი დოლარი იშოვა.

ცხადია, რომ მოგებული დარჩა ნახევარფინალამდე მისული ირაკლი ლაბაძეც — ჩემპიონთა რბოლაში მან შვიდი ადგილით ზეაინაცვლა და 65 ქულით 29-ე ადგილს იყოფს ამერიკელ მერდი ფიშთან, ხოლო მთავარ რეიტინსგიაში ის უკვე ზე-50-ეულშია — 728 ქულა აქვს და 49-ე ადგილზე დგას.

II OPEN DE TENIS COMUNIDAD VALENCIANA
ვალენსია. თიხნარი
საპრიზო 395 ათასი $

ფინალი

ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) — ალბერტ მონტანესი (ესპანეთი) 7:6 (7:5), 6:3

ვალენსიაში ეშტორილზე უფრო მძაფრი ქარი ქროდა და მეჩოგნეებს ერთმანეთთან კეჭნაობის გარდა ქარის დაურვებაც უხდებოდათ. ადამიანსა და სტიქიას ჩოგანი უფრო მარჯვედ 20 წლის ცაცია მადრიდელმა ფერნანდო ვერდასკომ მოარგო და კარიერის მეორე ფინალში პირველი ტიტულიც მოირეწა.

ამას თითქოს ველოდით კიდეც, რაკიღა მთელი კვირის განმავლობაში მას ერთი სეტიც არ წაუგია და ეგ კი არა, ნახევარფინალში სულაც შარშანდელი ჩემპიონი და „არმადის მეთაური ხომალდი“, ხუან კარლოს ფერეროც „ჩაძირა“. თანაც არც ის დაგვვიწყებოდა, რომ წინა ფინალს წინავე თვეში, აკაპულკოურ თიხნარზე უწია და იქაც მხოლოდ კარლოს მოიასთან დათმო.

ჰოდა, ალალი იყოს მასზე გამარჯვებულისთვის დათქმული 54 ათასი ევრო თავის 35 საჩემპიონთარბოლო ქულითა!

აშშ-ის კაცთა თიხნარპირველობა
ჰიუსტონი.
საპრიზო 380 ათასი $

ფინალი

ტომი ჰაასი (გერმანია) — ენდი როდიკი (1, აშშ) 6:3, 6:4

ამგვარ ანგარიშს ორიოდ წლის წინ რომ გვიკვირდა, არაფერი გვიკვირდა, რადგანაც 24 წლის ტომი ჰაასს მაშინ ამქრის უზეპურეს ჩამონათვალში მეორე საფეხური ეკავა, ენდი როდიკი კი თუმც ნიჭიერი, მაგრამ ჯერაც დამწყები 19 წლის ყმაწვილი იყო. ახლა კი მომენტი შეცვლილია — მეორე საფეხურზე უკვე თავად ენდიბოი შემდგარა, ბოლო ორი წლის განმავლობაში მხრის ტრავმა-ოპერაციებით გატანჯული გერმანელი კი დიდ კორტს ეს-ესაა მოუბრუნდა და რეიტინგსიის სიღრმეებიდან ამოცოცებას ლამობს.

მაგრამ ჰაასს ჯერაც არ დავიწყებია ის, თუ როგორ უნდა როდიკის ძლევა — მისთვის საზეო წლებში ხომ ისინი ერთმანეთს სამჯერ შეხვედრიან და სამივე მატჩი სწორედ მისი გამარჯვებით დასრულებულა! ამ კვირის მერე კი ის ენდის უკვე 4:0 უგებს.

არადა, როდიკს ჰიუსტონში ნათამაშები 19 მატჩიდან აქამდე მხოლოდ ერთი დაეთმო და ისიც — შარშანდელ ფინალში ანდრე აგასისთან. 2001-02 წლების ჩემპიონს იმედი ჰქონდა, რომ წლეულს საჰეთთრიქო ტიტულსაც მოინაგრავდა, მაგრამ... ფსონზე ჩამსვლელებს ვერც აქ მოგვერთვა.

ბევრი რომ არ შევაყოლოთ, ჰაასმა კარიერის პირველი თიხნარტურნირი მოიგო და ჯამში მეექვსე ტიტული მიითვალა. ეგ მით უფრო აღსანიშნავია, რომ რაგინდარა ტიტულს ჰაასი უკვე 2001 წლის შტუტგარტობის შემდეგ ეძებდა.

როდიკის წინააღმდეგ ფინალში ნაჩვენები სოლიდური ბურთაობა კი იმის უსათუო გარანტიაა, რომ მიმდინარე სეზონის განმავლობაში ის ნელ-ნელა ელიტაში დაბრუნებასაც შეძლებს.

THE FAMILY CIRCLE CUP
ჩარლსტონი. თიხნარი
საპრიზო 1,3 მილიონი $

ფინალი

ვინუს უილიამსი (4, აშშ) — კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) 2:6, 6:2, 6:1

ტომი ჰაასისა არ იყოს, თავისი თავისა თუ ჩასაფრებული მილეთისთვის დასამტკიცებელი ვინუს უილიამსსაც ბევრი რამე აქვს. და ჰაასისავე მგსავსად, რაღაცის ნაწილობრივ დამტკიცება ამ კვირას მასაც მოუხერხდა.

ერთი ეგ არის, რომ ბოლო თოთხმეტ თვეში პირველი, კარიერის განმავლობაში კი 30-ე ტიტულის მოხვეჭას ვინუსს იმით წაუმურდლავენ, რომ ჩარლსტონთიხნარობას ტრავმიანობის გამო ერთბაშად ისეთი ბობოლები გამოეთიშნენ, მისი ლვიძლი და სერენა, ჟუსტინ ენენარდენი თუ ამელი მორესმო რომ არიან.

თუმცა ვინუსს შეუძლია, ავისმჩხრეკალთა ღვარძლიანი ქილიკი სულ თავის სვიან ჩოგანზე დაიკიდოს და კაცურად შეირგოს ის ამბავი, რომ დაბლტიეის ისტორიაში ყველაზე მეტგზის მეტიტულეთა ჩამონათვალში უკვე მე-12 ადგილს იყოფს განთქმულ ტრეისი ოსტინთან.

უიმბლდონის 1994 წლისა და ჩარლსტონის ორგზის ჩემპიონ კონჩიტა მარტინესს კი ამ ტურნირიდან ისიც ტკბილ მოგონებად წაჰყვება, რომ კარიერის მეშვიდასე გამარჯვება სწორედ ამ კვირაში მოიპოვა.

ლევან ბელაურაძე

დანტონი ცისფერი მკვლელია



სენსაციური ამბავი მოვიდა სენტ ლუისიდან. ხუთშაბათს „სენტ ლუის ბლუზმა“ რომ წააგო მეხუთე მატჩი „სან ხოსესთან“ და გამოეთიშა პლეი ოფს, შინ მიმავალ ჰოკეისტებს სან ხოსეს აეროპორტში პოლიცია დახვდა, რომელმაც გუნდის მოთამაშე მაიკ დანტონი დააპატიმრა. ჰოკეისტს ბრალი ედება, რომ მკვლელობის შემკვეთია.

ილინოისის შტატის სასამართლოში შეტანილი საჩივრის მიხედვით, დანტონმა თავის ნაცნობს, 19 წლის კეიტი უოლფშეურს უთხრა, რომ კანადიან ჩამოდის ადამიანი, რომელიც მის მოკვლას აპირებს და სთხოვა, ისეთი კაცი მოეძებნა, რომელიც 10 000 დოლარის სანაცვლოდ იმქვეყნად გაისტუმრებდა კანადელ სტუმარს. კეიტმაც მოძებნა ქილერი. იგი შეკვეთის შესრულებაზე დათანხმდა და უმალ FBI-ს (აშშ-ს გამოძიების ფედერალური ბიურო) შეატყობინა. თავად დანტონმა ამ ვითომ ქილერთან ერთად მკვლელობის ყველა დეტალი დააზუსტა. შეიარაღებული ძარცვის ინსცენირება — ასეთი იყო გეგმა.

ამის შემდეგ ყველაფერი FBI-ს გეგმით წარიმართა. დაზვერვის აგენტებმა დანტონისა და უოლფშეიერის სატელეფონო საუბრები ჩაიწერეს და ეს დანტონის დაკავების მთავარი მიზეზი გახდა.

ცხადია, მკვლელობა ჩაიშალა, არავინ დაზარალებულა, მაგრამ ჰოკეისტსა და მის თანამონაწილეს მაინც ხანგრძლივი პატიმრობა ემუქრებათ. დანტონმა შეიძლება 10 წელი იყურყუტოს ციხეში.

თანდათან გამოიკვეთა სხვა დეტალებიც. ყველაზე გავრცელებული ვერსიით, დანტონი ჰომოსექსუალისტი იყო და იმ კაცთან ჰქონდა ურთიერთობა, რომლის მოკვლაც განიზრახა. მათ უჩხუბიათ. კაცი დამუქრებია, რომ კლუბის მესვეურებს შეატყობინებდა მისი სექსუალური ორიენტაციის შესახებ და მის ალკოჰოლისადმი მისწრაფებასაც არ დამალავდა.

„სენტ ლუისი“ შოკშია. ჰოკეისტებს სჯერათ, რომ ეს ყველაფერი ჭორია. თავის მხრივ კეიტ უოლფშეურის ბიძაც იფიცება, რომ მისი ნათესავი მორცხვი და პატიოსანი გოგოა და იგი ქილერს ვერ მოძებნიდა. ჩვენ რა გვეთქმის, ყველაფერს სასამართლო გადაწყვეტს.

მკითხველს ალბათ დაინტერესებს მაიკ დანტონის ცხოვრების ზოგიერთი დეტალი. თურმე მისი ნამდვილი გვარი ჯეფერსონი ყოფილა და რამდენიმე წლის წინ გამოუცვლია ოჯახთან კონფლიქტის გამო. კარიერაც არ ჰქონია ვარდებით მოფენილი. მანამდე „ნიუ ჯერსში“ თამაშობდა და ორჯერ დისკვალიფიცირებული იყო ფარმკლუბში წასვლაზე უარის თქმისა და მწვრთნელებთან დავის გამო. დანტონს მას შემდეგ ეშველა, რაც წლეულს „სენტ ლუისში“ გადავიდა. იგი ძირითადის მოთამაშე გახდა და სახელი გაითქვა, როგორც კარგმა მოჩხუბარმა. მართალია, მაიკი ტანმორჩილია, მაგრამ ჩინებულად ასრულებს „პოლიციელის“ მოვალეობას და უშიშრად ერკინება მეტოქის ჯანიან მოჩხუბრებს.

ნუთუ შეიძლება ყინულზე ასეთი გულადი ადამიანი ცხოვრებაში...

თუმც ვინ იცის.

ოტაველ მაიკლ ფიშერს ტორონტოელი ელ ბელფორის კარში გადამწყვეტი შაიბა გააქვს

ხარა ხშირა არ გეგონოთ

აღმოსავლეთი

ოტავა 3:3 ტორონტო

ოტავა 2:1 ტორონტო

0:1 0:0 1:0 0:0 1:0

0:1 მაკეიბი (5), 1:1 ხარა (45), 2:1 ფიშერი (82)

„ოტავის“ კაპიტან დანიელ ალფრედსონის თავდავიერება მართლაც რომ შესაშურია. შვედმა ფორვარდმა მატჩის წინ საჯაროდ განაცხადა, რომ მისი გუნდი აუცილებლად მოიგებს და სერიას კიდევ ერთი თამაშით გაახანგრძლივებს. სიტყვა შესრულებულია. ახლა ყველაფერი საშშაბათს ტორონტოში გადაწყდება.

მატჩი მასპინძელთათვის უაღრესად რთულად წარიმართა. დასაწყისშივე მიღებული ორი ჯარიმის შემდეგ ისინი ორკაციან უმცირესობაში აღმოჩნდნენ. ბრაიან მაკეიბის დარტყმის შემდეგ შაიბა ერთ-ერთ ოტაველს მოხვდა და რიკოშეტით კარში შესრიალდა. მასპინძელთა მდგომარეობა მით უფრო რთული იყო, რომ მთელი სერიის განმავლობაში ბრწყინვალედ მოთამაშე ედ ბელფორი სულაც არ აპირებდა ტრადიციის დარღვევას და ისევ შთაუტს უმიზნებდა. ასე გაგრძელდა მესამე პერიოდის დასაწყისამდე, მერე კი ზღენო ხარას ჟამი დადგა. ეს 206 სანტიმეტრიანი აყლაყუდა მცველი არასდროს ებმება შეტევებში, უფრო თავის მოვალეობას ასრულებს. ამიტომ მისი რეიდი ყველასთვის მოულოდნელი გამოდგა. სლოვაკმა კარს წრე დაარტყა, მერე დასარტყმელ პოზიციაზე გასრიალდა და როგორც იქნა, გატეხა ნავსი. ამას კვლავ ხანგრძლივი და დაძაბული ბრძოლა მოჰყვა და მხოლოდ მეორე ოვერტაიმში შეძლო მაიკ ფიშერმა „ტორონტოს“ დამწუხრება.

მატჩის შემდეგ უკვე ტორონტოელები იძულებულნენ დაპირებებს. „მომდევნო მატჩს შინ ვთამაშობთ, ფანების დახმარება კი უაღრესად მნიშვნელოვანია“ — თქვა ბელფორმა მატჩის შემდეგ“.

მსოფლიოს ჩემპიონატი. პირველი ეტაპი *სამხრეთ აფრიკის დიდი პრიზი*

როსიმ რეკორდი ცრემლით დაასველა

ვალენტინო როსი „იამაჰითაც“ როსობს

25 წლის იტალიელი ვალენტინო როსი გახდა პირველი მოტომრბოლი, ვინც მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში მიყოლებით ორი ეტაპის მოგება შეძლო სხვადასხვა მანქანით. ყველაზე მძლავრ, 500 სმ³ კლასში („მოტო გრან პრი“) სამგზის ტრიუმფატორმა შარშან დასკვნით ეტაპზე ესპანეთში „ჰონდათი“ გაიმარჯვა, ახლა კი „იამაჰათი“ მიაღწია წარმატებას.

როსის ახალი ბედაური „ჰონდაზე“ სუსტიაო. ამიტომაც იყო ჩემპიონი სეზონის გახსნის — სამხრეთ აფრიკის დიდი პრიზის მოგებით უზომოდ გახარებული და ფინიშის შემდეგ აცრემლდა კიდეც. პრესკონფერენციაზეც ასე გრძნობამორეული კარგა ხანია არ უნახავთ: „ძნელია ჩემი ყველა ემოციის გადმოცემა ამ მოკლე დროში. ეს ჩემს კარიერაში ალბათ საუკეთესო უიქენდი იყო. ძალიან მაგრად ვიარე. მაქსთან დიდი ბრძოლის გადატანა მომიხდა და საუცხოო შოუც გამოვიდა, რისთვისაც ყველას მადლობას ვუხდი.“

მართლაც მეტად დაძაბული და ეფექტური ბრძოლა იყო. როსიმ კვალიფიკაციაში ყველას აჯობა და რბოლა პირველი პოზიციიდან დაიწყო. მისმა ყველაზე მრისხანე მეტოქემ, ჰონდიანმა მაქს ბიაჯიმ ორჯერ მოახერხა წინ გაჭრა, მაგრამ ჩემპიონმა მალევე დაიბრუნა ლიდერობა და შვიდი წლით უფროს თანამემამულის გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა, თუმც მიკროსკოპიული, წამის ორმეათედიანი სხვაობით.

ამ ყველაზე პრესტიჟულ მოტოკლასში წლეულსაც 16 დიდი პრიზი გათამაშდება და ექვსთვიანი მარათონის გამარჯვებულს ახალი, ვეებერთელა საჩემპიონო თასით დაჯილდოებენ. საინტერესოა, რომ 70 სანტიმეტრი სიმაღლის და 30-კილოგრამიანი პრიზის ავტორია მოქანდაკე ლორენცო ქუინი, ცნობილი ამერიკელი მსახიობის, ენტონი ქუინის შვილი.

ბოლოს იმაზეც, რომ „ველქამის“ 4,2 კმ სიგრძის ტრეკზე 250 კუბურ სანტიმეტრიან მოტოებით გაიმარჯვა ესპანელმა დანიელ პედროსამ, რომელმაც შარშან ყველაზე დაბალ, 150-იან კლასში მოიპოვა ჩემპიონობა.

გია ახალაძე

„ველქამი“ — 4242 მ

მოტო გრან პრი

1	ვალენტინო როსი (იტალია, იამაჰა)	43 წთ;50,2
2	მაქს ბიაჯი (იტალია, ჰონდა)	ჩამორჩა 0,2
3	სეტე გიბერნაუ (ესპანეთი, ჰონდა)	7,2
4	ალექს ბარუში (ბრაზილია, ჰონდა)	18,7
5	ნიკი ჰეიდენი (აშშ, ჰონდა)	24,1
6	ლორის კაპიროსი (იტალია, დუკატი)	24,4
7	კოლინ ედვარდსი (აშშ, ჰონდა)	28,8
8	მაკოტო ტამადა (იაპონია, ჰონდა)	36,5
9	ნორიკ აბე (იაპონია, იამაჰა)	36,6
10	კარლოს ჩეკა (ესპანეთი, იამაჰა)	39,3

250 სმ³

1	დანიელ პედროსა (ესპანეთი, ჰონდა)	42 წთ; 04,7
2	რენდი დე პიუნე (საფრანგეთი, აპრილია)	0,5
3	სებასტიან პორტო (არგენტინა, აპრილია)	5,9
4	მანუელ პოჯიალი (სან მარინო, აპრილია)	24,6
5	ალექს დე ანჯელისი (სან მარინო, აპრილია)	30,0
6	ალექს დებონი (ესპანეთი, ჰონდა)	30,6
7	ალფონსო ნიეტო (ესპანეთი, აპრილია)	31,5
8	ანტონიო ელიასი (ესპანეთი, ჰონდა)	31,9
9	რობერტო როლფო (იტალია, ჰონდა)	32,0
10	ფრანკო ბატაინი (იტალია, აპრილია)	35,6

125 სმ³

1	ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, ჰონდა)	40 წთ; 34,3
2	რობერტო ლოკატელი (იტალია, აპრილია)	0,1
3	კეისი სტოუნერი (ავსტრალია, KTM)	2,2
4	პაბლო ნიეტო (ესპანეთი, აპრილია)	2,4
5	მაიკ დი მელიო (საფრანგეთი, აპრილია)	12,3
6	ჯინო ბორსოი (იტალია, აპრილია)	13,3
7	მირკო ჯანსანტი (იტალია, აპრილია)	14,5
8	სტივ იენკერი (გერმანია, აპრილია)	15,0
9	ალვარო ბატისტა (ესპანეთი, აპრილია)	24,8
10	ექტორ ბარბერა (ესპანეთი, აპრილია)	25,3

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS ლონდონიდან

წვიმიანი მარათონი

ერთ კარგ გაზაფხულის წვიმაში ჩაირბინა ლონდონის მარათონმა. ტაუერ-ბრიჯის ქვეშ მორბენალთა შორისაა წლევანდელი გამარჯვებული ევანს რუტო (სულ მუქ სამოსში), რომელმაც გამარჯვებას 2 საათი, 6 წუთი და 18 წამი მოანდომა. მარათონის ყველაზე ხნოვანი მონაწილე კი ლონდონელი სიქჰი, 93 წლის ფაუჯა სინგჰი გახლდათ. ამ ასაკობაში რა გასაკვირია, რომ ფინიში ინგლისის საფეხბურთო ნაკრების ყოფილ მწვრთნელს, გრემ ტეილორსაც გადაეკვეთა.



REUTERS ლონდონიდან

გენტის დაშნები

ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირი მოფარიკავეთა შორის ბელგიურ გენტში მიმდინარეობს. დაშნოსანთა ნახევარფინალი რუმინელ ალექსანდრ ნიშტორსა (მარცხნივ) და სლოვაკ ატილა ერშეკს შორის ფიცხელი იყო და პირველმა იმარჯვა.



REUTERS გენტიდან

REUTERS

მერიონის წავარჯიშება

კალიფორნიაში კაი გვარიანი მძლეოსნური ტურნირი მიმდინარეობს, რაც ამერიკელთათვის პირდაპირ მისწრებაა ოლიმპიადის წინ. 200 მეტრზე გარბენი კონი მურს მოუგია. ხუთგზის ოლიმპიური ოქროსანი მერიონ ჯონსი მხოლოდ მეოთხეზე გასულა, თუმცა, მისი ხალისიანი იერი გვეუბნება, ესეც საკმარისიაო.

REUTERS ჰავანიდან

ფიდელი აჯილდოვებს

ჰავანაში კარიბეთის კუნძულების მეორე ოლიმპიური თამაშობანი მიმდინარეობს. სტადიონებზე მალიმალ ჩნდება უკვდავი ფიდელ კასტრო, რომელმაც პირადად ჩამოჰკიდა მედლები მძლეოსნებს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს,
სამშაბათს, ოთხშაბათს,
ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge